აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№90 (24.970) სამშაბათი, 23 - 24 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ჯრიალოსა N იუსი

16 ფიზიკურ პირს და 19 ოჯახს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები. ამის შესახებ გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე ითქვა, რომელსაც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი უძღვებოდა. გადასაცემი ქონება დაინტერესებულ პირებს ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ასევე გადაეცემა შვიდსულიან სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც აღნიშნულ უძრავ ქონებაში წლებია ცხოვრობს.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ISFE-მა საზოგადოებას უნდა გასცეს პასუხი, კვლავ აყენებენ ულტიმატუმს, რომ ჰქონდეთ ვეტოს უფლება, გადამწყვეტი ხმა მთავრობის დაკომპლექტებაში, თუ ხსნიან მოთხოვნებს. „თუკი ისინი ამ პოზიციას არ იზიარებენ და მოხსნიან ამ მოთხოვნას, რა თქმა უნდა, მათ სრულად შეუძლიათ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა“,- განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. ISFE-ის აღმასრულებელი დირექტორის ნინო დოლიძის განცხადებით, „სამართლიან არჩევნებს“ არასდროს უთქვამს, რომ მთავრობის ფორმირებაში რაიმე სახით მონაწილეობის სურვილი გააჩნია.

* * *

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ინფორმაცია, რომ პოლიციას თანამშრომლები მასობრივად ტოვებენ, საშემოდგომო საცირკო წარმოდგენებისთვის შემზადებაა. „ეს არის სპეკულაცია. თუ ვინმე დატოვებს, არც ამაშია უბედურება“, - განაცხადა ანრი ოხანაშვილმა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიციის თანამშრომლები სამსახურს მასობრივად ტოვებენ. ამის თაობაზე განცხადება გაავრცელა შსს-მ და ინფორმაციას სიცრუე უწოდა.

* * *

თუ ვინმე აწყობს რევოლუციას, არის თავად ხელისუფლება. არ ყოფილა პრეცედენტი, როდესაც ხალხს სწორ ადგილზე მოუწყვია რევოლუცია, - ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიამ „ქართული ოცნებიდან“ გასული დეპუტატების განცხადების საპასუხოდ აღნიშნა, რომლის თანახმადაც, „ისფედის“ გამოქომაგებით, აშშ-ის საელჩო „ქართულ ოცნებას“ ეუბნება, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს და „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ფრონტის გასახსნელად ხელისუფლებაში დაბრუნდეს. როგორც მელიამ განაცხადა, ქართული საზოგადოება აუცილებლად მიაღწევს ამ ქვეყანაში ახალ არჩევნებს, რაც იქნება შესაძლებლობა, რომ „მშვიდობიანად შეიცვალოს რეჟიმი“.

მოამზადა
ია შველიძემ

„ამბასადორი“ შეუსაბამო შენობების ჩამონათვალიდან ამოიღეს

რას აპროტესტებს ოპოზიცია?!

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ხმაურისა და სიტყვიერი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა ბათუმის საკრებულოს გუშინდელი სხდომა, სადაც ძირითადი საკითხი ოპოზიციისთვის ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) საკითხი გახდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, გარკვეული დრო დეპუტატების პოლიტიკურ განცხადებებს დაეთმო. ოპოზიციამ სხდომის პირდაპირ ეთერში გაშვებაც მოითხოვა, რათა დაინტერესებულ პირებს მისი ნახვა შეძლებოდათ. განახლებული დარბაზის ტექნიკური გაუმართაობის გამო შექმნილი პრობლემა მოგვიანებით აღმოიფხვრა.

ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმა საკრებულოს წევრებს მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა რამიშვილმა გააცნო. როგორც მან აღნიშნა, სსიპ „ბათუმის ბულვარმა“ გეგმის პროექტზე მუშაობა 2022 წლის თებერვალში დაასრულა. იგი მოიცავს სამ ნაწილს: კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტს, პროექტის მიღების მთავარი მიზანი კი ბულვარის სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავება და განაშენიანების გეგმის დოკუმენტის მომზადებაა მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით. ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავებისა და მიღების ეტაპზე ჩართული იყო არასამთავრობო და სამთავრობო უწყებებისგან შემდგარი კომისია.

როგორც სხდომაზე ითქვა, კომპანია „ამბასადორი ბათუმმა“ თხოვნით მიმართა საკრებულოს, რათა ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების გეგმიდან ამოეღოთ ჩანაწერი, რომ „ამბასადორის“ პროექტი ბულვარისთვის შეუსაბამოა. სწორედ, ამ საკითხს დაუჭირა მხარი საკრებულომ გუშინდელ სხდომაზე, რასაც ოპოზიციის ერთი ნაწილის მწვავე პროტესტი მოჰყვა. პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, რომლებისთვისაც დოკუმენტის პირველი ვარიანტი მისაღები იყო, პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.

- დღეს ბათუმის საკრებულომ მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც დააზიანებს ჩვენს ქალაქს. ბიძინა ივანიშვილის დავალებით, გენგეგმა, რომელშიც ნახევარი მილიონი ლარია გადახდილი, კონკრეტული ბიზნესმენებისა და ჩინოვნიკების თხოვნით, რომლებსაც სიტყვა „შეუსაბამო“ არ მოსწონთ, დღეს ამოიღეს და მოსამართლეს უხსნიან ხელ-ფეხს, მიიღოს ის გადაწყვეტილება, რაც დააზიანებს ჩვენს ქალაქს. „ქართული ოცნება“ მარტო დარჩება ამ დარბაზში და თავად აიღებს ამ პასუხისმგებლობას, - განაცხადა ლაშა კილაბერიამ.

საკითხის არამართებულობაზე საუბრობს სამოქალაქო აქტივისტი ირმა ზოიძეც. მან ცვლილება მწვავედ გააპროტესტა, რის შემდეგაც სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

- დღეს ბათუმის საკრებულომ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების გეგმიდან ამოიღეს ჩანაწერი, რომ „ამბასადორის“ პროექტი ბულვარისთვის შეუსაბამოა. სწორედ, ეს დოკუმეტი იყო ის, რაც მოსამართლეს მისცემდა საშუალებას, სხვა გადაწყვეტილება მიეღო, რაც, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, - განაცხადა ირმა ზოიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძის განცხადებით, დოკუმენტში, შეუსაბამო შენობების ჩამონათვალიდან, „ამბასადორს“ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ამოიღებენ.

გუშინდელ სხდომაზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტსაც უყარეს კენჭი. პროექტის მიხედვით, ბათუმში, რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩებს შორის არსებულ მონაკვეთში, დაგეგმილია სასტუმროს ტიპის ორი მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა.

- პროექტის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=16,0-მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას, - აღნიშნა მამუკა რამიშვილმა.

დეპუტატებმა გუშინ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხებიც დაამტკიცეს. საკითხზე მერიის ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დავით კოპინაძემ ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, დაბა მახინჯაურში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (05.34.22.539 1კვმ) მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დროს გამოიყენეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რომლის თანახმადაც 1 კვმ მიწის საპრივატიზებო ღირებულება 500 ლარი, ხოლო საიჯარო ქირა 5% - 25 ლარია. საბოლოოდ 1 კვმ მიწის წლიური საიჯარო ქირა 30 ლარით განისაზღვრა.

დავით კოპინაძემ დეპუტატებს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტიც გააცნო, რომლის თანახმადაც კახაბრის დასახლებაში რეგისტრირებული 17932.00 კვმ მიწის ნაკვეთის შეფასებაზე დასკვნის შესაბამისად 1 კვმ მიწის საპრივატიზებო ღირებულება 107 ლარია, სარგებლობის საფასური 5% - 5,35 ლარი. საბოლოოდ 1 კვმ მიწის წლიური სარგებლობის საფასური 6,0422 ლარია. ამ კონკრეტული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საერთო ჯამის 49 651 კვმ მიწის წლიური სარგებლობის საფასური კი 300 ათასი ლარით განისაზღვრა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მალე ბათუმში, დემეტრე თავდადებული ქ. N33-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი ტრავმატოლოგ-ორთოპედის, ასევე, მრავალი გამოგონების ავტორისა და სპორტის ოსტატის დურსუნ ჩერქეზიშვილის, 26 მაისის ქ. N45-ში არსებულ სახლზე კი თორნიკე კიპაროიძის მემორიალური დაფები განთავსდება. 25 წლის თორნიკე კიპაროიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბათუმის განყოფილების თანამშრომელი იყო, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. იგი მუშაობდა სახანძრო-სამაშველო ძალებში და დაჯილდოებულია მედლით - სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის.

სხდომაზე, რომელიც განახლებულ სხდომათა დარბაზში გაიმართა, დღის წესრიგით განსაზღვრულ 6 საკითხზე იმსჯელეს და დაამტკიცეს.

რატომ ბრუნდებიან პოლონეთიდან ქართველი ემიგრანტები?

4

«ყველა ბავშვია ხატვის უნარის მარცვალი, რომლის განვითარებაც შეიძლება»

7

თანხები ემატება სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბიუროს სხდომაზე განსახილველად 8 საკითხი იყო წარდგენილი

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში და ხარჯვითი ნაწილი 1 129 510 ლარით იზრდება, საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტი კი 31 950 663 ლარით განისაზღვრება.

თანხები ემატება სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს. განისაზღვრა ასევე ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები.

საკრებულოს სხდომაზე ასევე დასამტკიცებლად წარადგენენ მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესს, რაც თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი მექანიზმი იქნება.

მონაწილეობითი ბიუჯეტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილია, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით ხორციელდება პროექტები.

ფრიდონ ხალვაშის გამზირზე ახალი სკვერის მშენებლობა დაიწყო

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

პროექტის მიმდინარეობას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი მოსახლეობასთან ერთად გაეცნო

„განვაგრძობ გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან. წლის ბოლოს ფრიდონ ხალვაშის გამზირზე ახალი სკვერის მშენებლობა დასრულდება, რაც ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

ტერიტორია მთლიანად მოწესრიგდება, სადაც რეკრეაციულ სივრცესთან ერთად მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები, ტრენაჟორები და აღიჭურვება ყველა იმ საშუალებით, რაც საჭიროა დასვენებისა და გართობისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ ბათუმში მიმდინარე წელს უკვე დასრულდა და ხორციელდება ათამდე სკვერის რეაბილიტაცია.

წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ ათი სკვერის მოწყობა“, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები, ტრენაჟორები და გარეგანათება, განთავსდება საპარკე ინვენტარი და დაიგება მწვანე კორდი. გარდა ამისა, სკვერის ტერიტორიაზე დაირგვება სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი. პროექტის ღირებულება 456 ათას ლარს აღემატება.

„ძნელია მიხვდე, რას ფიქრობს პუტინი, თუმცა დღეს საქართველოში მისი შემოჭრის საფრთხეს ვერ ვხედავ“

საზაფხულო უნივერსიტეტი – ბსუ-ში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ახალი გამოწვევები და რისკები ბირთვული უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის რეჟიმისათვის“ - აღნიშნულ თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ორგანიზაციის „სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში“ ორგანიზებით, გაიხსნა მეშვიდე საზაფხულო უნივერსიტეტი, რომელსაც ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში მააიკე ვან კოლდამი და აშშ-ის საელჩოს რეგიონული ექსპორტის კონტროლისა და სასაზღვრო უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი როზი პეტროვი ესწრებიან. შეხვედრის ფარგლებში არაერთი საინტერესო სემინარია ჩანიშნული, სადაც გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე ლექციებს საერთაშორისო ექსპერტები წაიკითხავენ.

- ის, რაც ხდება უკრაინაში, რა თქმა უნდა, არის საფრთხის შემცველი საქართველოსთვის და არამარტო. ამიტომ, დღეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიკრიბეთ აკადემიკოსები და ექსპერტები, რათა განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება ავირიდოთ საფრთხეები თავიდან, ან როგორ შეიძლება მათი მართვა როგორც საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებით, ისე - გლობალურ მასშტაბში. ძალიან ძნელია იმის მიხვედრა, თუ რას ფიქრობს პრეზიდენტი პუტინი. საქართველოსთან მიმართებაში დღეს მისი შემოჭრის საფრთხეს ვერ ვხედავ, მაგრამ, არავინ იცის, რა იქნება ერთი ან ორი წლის შემდეგ. სწორედ ამიტომ, საქართველომ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. თუმცა, აქვე დავსძენ: როგორც ჩვენ ვხედავთ, პუტინს უკვე უკრაინასთან მიმართებაშიც გაუჩნდა პრობლემები, რადგან უკრაინის შეიარაღებული ძალები აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი. ვფიქრობ, მომავალში საქართველოც უნდა იყოს მზად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის საფრთხეს რუსეთის შემოჭრისა, ვერ ვხედავ, - განაცხადა სტოკჰოლმის უნივერსიტეტის დოქტორმა თომას იონტერმა.

გლობალური უსაფრთხოება და ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმი; ინდო-ჩინეთის რეგიონის უსაფრთხოების პერსპექტივა და რუსეთის აგრესიის კონტექსტი; რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები უკრაინის ომის კონტექსტში, ჩინეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა რუსეთის უკრაინაში შეჭრის კონტექსტში; NATO-ს გაფართოება ფინეთისა და შვედეთის შემთხვევების კვლევის მაგალითზე - ეს ის საკითხებია, რომლებზეც ექსპერტები და მკვლევარები სამი დღის განმავლობაში ისაუბრებენ და თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

- ეს არის ჩვენი რიგით მეშვიდე საზაფხულო უნივერსიტეტი, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიებს აკადემიურ წრეებში. ვფიქრობ, ახლა, როცა უკრაინაში რუსეთის ასეთი ფართომასშტაბიანი აგრესია მიმდინარეობს და რომელიც ცვლის საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს, არქიტექტურას, აღრმავებს რეგიონული უსაფრთხოების რისკებს, სწორედ ის დროა, ამ თემებზე ბევრი ვისაუბროთ. მჯერა, ეს დისკუსიები, ახალი ცოდნა, გამოცდილების გაზიარება დაგვეხმარება, რომ გავიაზროთ ის გამოწვევები, რომელიც აქვს საქართველოს. მეორე მხრივ, აღნიშნულ შეხვედრებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საუნივერსიტეტო სივრცისთვის, რადგან პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა განაახლონ ცოდნა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებზეც ამ დღეების განმავლობაში გვექნება საუბარი, - განაცხადა თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს დამფუძნებელმა შორენა ლორთქიფანიძემ.

აღსანიშნავია, რომ 24 აგვისტოს, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, დაგეგმილია სემინარის გაფართოებული ფორმატი, სადაც განხილული იქნება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილება შედის და ხარჯვითი ნაწილი 1 129 510 ლარით იზრდება. საბოლოოდ, დამტკიცებული ბიუჯეტი კი 31 950 663 ლარით განისაზღვრება. საკითხი უკვე განიხილეს კომისიებში. საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესიც, რაც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი მექანიზმია.

* * *

ჩიბუხები, საბრძოლო ტყვიები, ყავის ჭიქის ფრაგმენტები - პეტრას ციხეზე ახალი არტეფაქტები აღმოაჩინეს. გათხრებისას აღმოჩენილი ნიმუშების ნაწილი ბიზანტიურ, ნაწილი კი ოსმალურ ხანას მიეკუთვნება. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ, პეტრას ციხეზე ახალ აღმოჩენებს ადევნონ თვალი. გათხრებს არქეოლოგი გიორგი თავამაიშვილი ხელმძღვანელობს. სამუშაოები გასულ წელს დაიწყო.

* * *

7 არტისტის მიერ დანახული თავისუფლება ზღვის ირგვლივ - თავისუფალმა სივრცემ ქართველი მხატვრების ერთობლივ გამოფენას უმასპინძლა თემაზე - „ზღვა გასწავლის თავისუფლებას“. ნამუშევრები მხატვრებმა სპეციალურად ამ თემატიკასა და გამოფენას მიუძღვნეს.

* * *

ქუჩის ცეკვების საერთაშორისო ჩემპიონატის ფინალს წელს ბათუმმა უმასპინძლა. ღონისძიების მხარდამჭერი აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი იყო. 16 საუკეთესო მოცეკვავე ერთმანეთს 1-1-ზე დაუპირისპირდა. ბულგარში, კოლონადებთან, შეკრებილმა მაყურებელმა მოულოდნელად გაჟღერებულ ცნობილ ჰიტებზე მოცეკვავეების რიტმი, მოძრაობები, კრეატივი და ქარიზმა შეაფასა. ფინალში ერთმანეთს ლუკა ყარმაზანაშვილი და გუგა ელიზბარაშვილი დაუპირისპირდნენ. მაყურებლის გადაწყვეტილებით გუგამ გაიმარჯვა. ჰიპ-ჰოპის მოცეკვავე წელს საქართველოს სახელით სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება და წინა წლის გამარჯვებულთან ერთად მსოფლიო ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

* * *

ბათუმში, მუსხელიშვილის ქუჩაზე, ავარიულ სახლში მცხოვრები 12 ოჯახი თანახმაა განსახლებაზე, თუმცა ერთი ოჯახი წინააღმდეგია. მეზობლები ამბობენ, რომ სახლი, რომლის ავარიულ მდგომარეობას სამხარაულის დასკვნაც ადასტურებს, სასწრაფოდ უნდა დატოვონ. შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად მეზობლები ბათუმის მერიას 12 ოჯახის დაუყოვნებლივ გაყვანას სთხოვენ. მერიის მუნიციპალური სერვისების სააგენტოში აცხადებენ, რომ ოჯახების უსაფრთხო ადგილას ქირით გაყვანას მომავალი კვირიდან შეძლებენ, თუმცა პრობლემურია ერთი ოჯახის საკითხი, მერიას კი მოქალაქის კერძო საკუთრებიდან იძულებით გაყვანის ბერკეტი არ აქვს. გამოსახლების წინააღმდეგია უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძეც, თუმცა დანარჩენი 12 ოჯახის რისკის შემცველ გარემოში დატოვებაც დაუშვებლად მიაჩნია.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

პუტინისეული „მრავალპოლარული სამყარო“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველომ და მოლდოვამ კარგა ხანია მკვეთრად პროდასავლური კურსი აირჩიეს, აზერბაიჯანი მეტწილად დაბალანსებული პოლიტიკის მიმდევარია და გარკვეულწილად, თურქეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, სომხეთი და ბელარუსი, პრომოსკოვური პოლიტიკის მიმდევარია, შუააზიური ქვეყნები ჩინეთის ფარული გავლენით რუსეთისგან დისტანცირებას ლამობენ, რუსეთი კი უკრაინას ეომება ახალი მოდერნიზებული იმპერიის შექმნის იმედით, რასაც ამ უკანასკნელის და დასავლეთის მძაფრი წინააღმდეგობა ხვდება. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა ცვლილებებია მოსალოდნელი პოსტსაბჭოთა სივრცეში საგარეო ვექტორის კუთხით და რა ეტაპია რუსეთ-უკრაინის ომში? ამ საკითხებზე მსჯელობენ ანალიტიკოსები და საყურადღებო დასკვნებს აკეთებენ

ცნობილია, რომ მე - 20 საუკუნეში სოციალიზმის თეორიამ სამი ურჩხული წარმოშვა - რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი, რამაც მსოფლიოს მრავალი უბედურება მოუტანა. იტალია და გერმანია ამ სენისგან განთავისუფლდნენ და განვითარებულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. სამწუხაროდ, რუსეთი ვერ, ან არ თავისუფლდება ბოლშევიზმისგან და სხვადასხვა სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს. დასავლეთს ამ დრომდე რუსეთის აგრესიულობის დაჯერება არ სურდა გარკვეული მიზეზების გამო, არადა თავის დროზე ჩეჩნეთის ლიდერი ჯოხარ დუდაევი მართებულად ამბობდა: „რუსიზმი ყველაზე საშინელი მოვლენაა დედამიწაზე და ამას დროთა განმავლობაში დასავლეთი საუკუთარ თავზე იწვნევს“. ამ ლეგენდარულმა ლიდერმა რუსეთ-უკრაინის ომიც იწინასწარმეტყველა და აღნიშნა, რომ რუსეთი უკრაინაში დამარცხდება. რუსეთის საბოლოო დამარცხებამდე ჯერ კიდევ შორსაა, თუმცა ფაქტია, რომ უკრაინა თანმიმდევრულად ანადგურებს მტერს. უკრაინულ არმიას იერიშები უკვე ხერსონზე და ყირიმზე მიაქვს, რაც გარკვეულწილად, მისი გამარჯვების წინაპირობაა და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთის შეიარაღებას და მხარდაჭერას შეაქვს. ომის დაწყების პირველ დღეებში თვით დასავლეთიც წინასწარმეტყველებდა უკრაინის დამარცხებას, გავიხსენოთ ამერიკელი გენერლების განცხადება, რომ კიევი სამ დღეში დაეცემა და ა. შ. აღსანიშნავია უკრაინის პრეზიდენტის და მისი გუნდის თავდადება. „ჩვენ არ დავტოვებთ უკრაინას და მტერს ბოლომდე შევებრძოლებით“, - განაცხადა ზელენსკიმ და ამით მაგალითი მისცა ხალხს და არმიას. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი აღმოჩნდა მტერთან ბრძოლაში, პუტინს ეგონა, უკრაინა რამდენიმე დღეში დაეცემოდა. როგორც ჩანს, მას თავი სტალინად წარმოედგინა, მისი გარემოცვა ამაში არწმუნებდა... არადა, სად სტალინი და სად პუტინი? სტალინმა უძლიერესი იმპერია შექმნა საბჭოთა კავშირის სახით (სტალინის აპოლოგეტი არ ვარ, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ). პუტინის შედარება ჰიტლერთან აჯობებს, რომელსაც არ ჩამოუვარდება, ყოველ შემთხვევაში მისი ქმედებები საქართველოში, მოლდოვაში და ახლა უკრაინაში ამის თვალსაჩინო მაგალითია, რუსეთის ჯარმა ხომ უკრაინაში ათიათასობით ადამიანი დახოცა.

> *თითქმის ყველა ანალიტიკოსი თანხმდება იმაში, რომ რუსეთი მეოცე საუკუნის ომის მსგავსად იბრძვის, უკრაინა კი 21 საუკუნის შესაბამისად ატარებს სამხედრო ოპერაციებს რუსეთის წინააღმდეგ. დიახ, უკრაინაში ცივილიზაციათა ომი მიმდინარეობს დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს აშკარაა, რუსეთი სიბნელის, სიყალბის, ჩამორჩენილობის ნიმუშია, დასავლეთი კი მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, სინათლის, სიკეთის სადარაჯოზეა*

როგორც ცნობილია, რუსეთ-უკრაინის ომი მეშვიდე თვეა მიმდინარეობს და უპირატესობა უკრაინელთა მხარესაა. ამას დასავლეთის გავლენიანი ანალიტიკური ცენტრებიც ადასტურებენ. „პუტინის არმიას სამხედრო ამოცანები შეუსრულებელი დარჩა. ამის დასტურია მოვლენები რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმში. ხერსონის ოლქსა და მარჯვენა სანაპიროს გასაცვლელად ამზადებენ, მისი გაცვლა სურთ დონბასსა და ყირიმზე, ეს ერთი ვერსიაა, რომ გავლენ ხერსონიდან, დატოვებენ მარიოპულსაც, სამაგიეროდ, შეინარჩუნებენ ყირიმს“, - აცხადებს ექსპერტი რომან სვიტანი. თუმცა მოსკოვი კვლავ აგრძელებს პროპაგანდისტულ ომს და აცხადებს, რომ თითქოს უკრაინა ცდილობს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აფეთქებას. რა თქმა უნდა, კრემლის ამ პროპაგანდას დასავლეთში არავინ წამოეგება. უბრალოდ, მოსკოვი საკუთარი მოსახლეობის ტვინის გამორეცხვითაა დაკავებული, აბა, როგორ აუხსნან ომის კატასტროფული შედეგები საკუთარ მოსახლეობას?! მსოფლიოს გაოგნება თუ გინდა, ისწავლე რუსეთისგან, მაგალითად, სერგეი ლავროვისგან, რომელიც დიდი ხანია შეუცვლელად ხელმძღვანელობს რუსეთის საგარეო უწყებას სწორედ იმიტომ, რომ არასდროს, არც ერთხელ, ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობისას, არ დასცდენია არცერთი მართალი სიტყვა. ამასწინათაც განაცხადა, რომ რუსეთი ათავისუფლებს უკრაინას ნაცისტებისგან. საერთოდ, რუსეთში სიმართლის, ისევე როგორც სხვა დანარჩენის განსაკუთრებული „გაგება“ აქვთ. რუსეთის პრეზიდენტმა ხომ განაცხადა უკრაინაში შეჭრამდე : „რუსეთი ეს განსაკუთრებული ცივილიზაციაა და თუ რუსეთი არ იარსებებს, მთელი მსოფლიო წყალსაც წაუღია“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრემლის მიზანია გავლენების განვრცობა სხვადასხვა რეგიონზე.

და მაინც, რას გულისხმობს რეალურად პუტინისეული „მრავალპოლარული სამყარო“? ესაა გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო, გარშემორტყმული ეკლიანი მავთულით, ბლოკპოსტებითა და სათვალთვალო პუნქტებით, რაც ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელია, ანუ აშშ-მა და ევროკავშირმა არ გაიზიარეს პუტინისეული მეოცე საუკუნის მოცემულობა (გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო), რამაც რუსეთს ვა-ბანკზე წასვლა აიძულა. ამას დაემატა ისიც, რომ უკრაინა თანმიმდევრულად ვითარდებოდა და შორდებოდა რუსეთს, აგრესია ამანაც განაპირობა. თითქმის ყველა ანალიტიკოსი თანხმდება იმაში, რომ რუსეთი მეოცე საუკუნის ომის მსგავსად იბრძვის, უკრაინა კი 21 საუკუნის შესაბამისად ატარებს სამხედრო ოპერაციებს რუსეთის წინააღმდეგ. დიახ, უკრაინაში ცივილიზაციათა ომი მიმდინარეობს დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს აშკარაა, რუსეთი სიბნელის, სიყალბის, ჩამორჩენილობის ნიმუშია, დასავლეთი კი მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, სინათლის, სიკეთის სადარაჯოზეა. ბოლოსდაბოლოს, დასავლეთში ეკონომიკური კეთილდღეობა და ადამიანის უფლებათა დაცვა გარანტირებულია. საერთოდ, თანამედროვე ომში ჯარისკაცთა რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა, არამედ ხარისხს, ტექნოლოგიურ საშუალებებს, რომელიც რუსეთს არ გააჩნია, უკრაინას კი დასავლეთი ამარაგებს ულტრათანამედროვე შეიარაღებით, შედეგიც სახეზეა. უკვე მეშვიდე თვეა, რუსეთმა დონეცკის და ლუგანსკის რეგიონების ოკუპაცია ბოლომდე ვერ შეძლო. მეტიც - როგორც ამბობენ, უკრაინული არმია უახლოეს დღეებში ხერსონზე შტურმს დაიწყებს და მომდევნო სამიზნე ყირიმი იქნება. ამ ნახევარკუნძულზე რამდენიმე რუსული სამხედრო ბაზა უკვე აფეთქდა და აქ ჩნდება კითხვა: რომელი პოსტსაბჭოთა ქვეყანა იქნება მოსკოვის ახალი სამიზნე?

განვიხილოთ რუსეთის მხრიდან სავარაუდო მსხვერპლნი? როგორც ვთქვით, დასავლეთი უკრაინის დამარცხებას არ დაუშვებს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. ჯერ ერთი, უკრაინა დასავლეთისთვის უმნიშვნელოვანესია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. თანაც უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის იმპერია ვერ აღდგება, რაც აშშ-ს და ევროკავშირს კარგად აქვთ გაცნობიერებული. მოლდოვაზე თავდასხმა რუსეთის მხრიდან არარაციონალური ნაბიჯი იქნება იქიდან გამომდინარე, რომ მას საზღვრი მოლდოვასთან არ აქვს, დნესტრისპირეთში განლაგებული რუსული ჯარი პრაქტიკულად, ალყაშია მოქცეული. გარდა ამისა, მოლდოვას მფარველობს ნატოს წევრი რუმინეთი. ასე რომ, აგრესიის შემთხვევაში, როგორც ვთქვით, რუსი სამხედროები ალყაში მოექცევიან უკრაინული და მოლდოვური ჯარის მხრიდან. ასეთ ვა-ბანკზე, სავარაუდოდ, რუსეთი არ წავა. ბელორუსი და სომხეთი ისედაც რუსეთის მოკავშირეები არიან. აზერბაიჯანს თურქეთი მფარველობს და თანაც ყარაბახის ომში ნათლად გამოჩნდა აზერბაიჯანული ჯარის ბრძოლისუნარიანობა. შუააზიურ ქვეყნებში სამხედრო ოპერაციის დაწყება რუსეთს გაუძნელდება, მიუხედავად იმისა, რომ მედვედევი ყაზახეთს დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ ყაზახეთს ჩინეთი მფარველობს, რომელმაც უზრუნველყო ყაზახეთიდან რუსი „სამშვიდობო ძალების“ გასვლა. თანაც ამ ქვეყანას თურქეთიც მფარველობს, რასაც რუსეთი ანგარიშს უწევს. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთი არც სხვა შუააზიურ ქვეყნებზე განახორციელებს აგრესიას. ტაჯიკეთში ისედაც იმყოფება მისი ჯარი და ხელისუფლება მისდამი ლოიალურადაა განწყობილი. უზბეკეთი, ყირგიზეთი და თურქმენეთი ნეიტრალური პოლიტიკის მიმდევრები არიან და პრაქტიკულად, შუა აზია ჩინეთის გავლენის ზონადაა აღიარებული. ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე რუსეთს გაუჭირდება ომის გაჩაღება შუა აზიაში. ექსპერტთა თქმით, სუსტი რგოლი ამ მიმართებით საქართველოა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მეათე წელია დაბალანსებული პოლიტიკის მიმდევარია და რუსეთს არ აღიზიანებს, კრემლის ნდობა არ შეიძლება, რისი დასტურიცაა თუნდაც რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის მედვედევის ამასწინდელი განცხადება საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მისამართით: „საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, როგორც ქვეყნები არ არსებობდნენ და ისინი უნდა გაერთიანდნენ რუსეთის ფედერაციაში“. და მაინც, რა მიზანი აქვს რუსეთს ძირითადად, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიმართ? როგორც ექსპერტები აცხადებენ, კრემლის მიზნია ამ სახელმწიფოებზე კონტროლის დამყარება, რათა ისინი არ გაერთიანდნენ ნატოში. დასამალი არაა, რომ რუსეთი ატომური ომითაც ემუქრება დასავლეთს, რომ კონტინენტზე დომინანტი პოზიცია შეინარჩუნოს, ამიტომ დასავლეთმა სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას რუსეთის ჰეგემონიის შესაკავებლად, ანუ ნატო ბოლოსდაბოლოს უნდა გაფართოვდეს აღმოსავლეთით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნატომ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა უნდა მიიღოს თავის რიგებში, მხოლოდ ასე შეძლებს დასავლეთი ამ სახელმწიფოების დაცვას რუსეთისგან. ისტორიამ ისიც ცხადყო, რომ რუსეთი ალიანსში მყოფ ქვეყნებს თავს არ ესხმის, აგრესიას ახორციელებს დაუცველ, მოკავშირის გარეშე მყოფ სახელმწიფოზე, რაც დასავლეთმა უნდა გააანალიზოს და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

უცხოეთი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკამ შეიძლება ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების შეტაკება გამოიწვიოს, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვმა განაცხადა. მისი თქმით, ასეთი სცენარი თავიდან უნდა იქნას აცილებული და ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნებმა ერთმანეთთან ომის დაუშვებლობის პოსტულატი უნდა დაიცვან. „ნატოს ქვეყნების დესტრუქციული კურსი, უგულებელყონ ჩვენი წითელი ხაზები და უკრაინაში რუსეთთან დაპირისპირებაში ჩაერთონ, უკიდურესად სარისკოა. ცხადია, ამას შეიძლება მოჰყვეს ესკალაცია და ბირთვული სახელმწიფოების სამხედრო შეტაკებამდე მივიდეს“, - აღნიშნა რიაბკოვმა.

* * *

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა და შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებმა უკრაინაში ბირთვული ობიექტების უსაფრთხოების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. „ერთობლივი სატელეფონო ჩართვისას მათ ხაზი გაუსვეს თავიანთ მტკიცე ვალდებულებას უკრაინის მხარდასაჭერად რუსეთის შეჭრის პირობებში“, - აღნიშნულია დაუნინგ სთრითის განცხადებაში. ლიდერები მიესალმნენ ბოლო დროს გამართულ განხილვებს ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე სპეციალიზებული საერთაშორისო მისიის გამგზავრებასთან დაკავშირებით.

* * *

რუსეთი არის ძლიერი, დამოუკიდებელი მსოფლიო ძალა. ჩვენ მტკიცედ ვატარებთ საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ იმ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება სამშობლოს ფუნდამენტურ ინტერესებს, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. მისი მტკიცებით, მისწრაფება, იცხოვრონ საკუთარი ნებით და არ დაუშვან გარე ძალების დიქტატი, რუსების გენეტიკური კოდის ნაწილია.

* * *

თურქეთში, მარდინის პროვინციაში მომხდარ ავარიას 16 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავებულია 29 ადამიანი. თურქული მედიის ცნობით, ბენზინგასამართ სადგურთან სატვირთო მანქანა მსუბუქ ავტომობილებს დაეჯახა და ამოტრიალდა. მოგვიანებით, საპირისპირო გზიდან მომავალი სატვირთო ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების მანქანას დაეჯახა. დაღუპულთა შორის არიან ბავშვები. კიდევ ერთი ავარია მოხდა გაზიანთეფის პროვინციაში, სადაც საინფორმაციო სააგენტო „იჰლასის“ სატრანსპორტო საშუალებას სამგზავრო ავტობუსი დაეჯახა. შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი, მათ შორის 3 მეხანძრე, 4 მედპორსონალი და 2 ჟურნალისტი.

* * *

გერმანიის, ესტონეთისა და ფინეთის კვალდაკვალ, რუსებისთვის შენგენის ვიზების გაცემის შეწყვეტას ჩეხეთის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებმა დაუჭირეს მხარი. ჩეხი კანონმდებლების თქმით, ასეთი ზომები რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების სიაში უნდა შევიდეს.

მოამზადა
ია შველიძემ

რატომ ბრუნდებიან პოლონეთიდან ქართველი ემიგრანტები?

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, პოლონეთიდან სამშობლოში მასობრივად ბრუნდებიან ქართველი ემიგრანტები. მიზეზი პოლონური ზლოტის გაუფასურება და რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომით გამოწვეული კრიზისია. თვეების განმავლობაში ქართველი ემიგრანტების ნაწილი პოლონეთში ოჯახებით იყო გადახვეწილი. ქალები, ძირითადად, სხვადასხვა საწარმოში, ხოლო მამაკაცები სამშენებლო კომპანიებში მუშაობდნენ. როგორც ისინი გაზეთ „აჭარასთან“ საუბარში ამბობენ, სამუშაო გრაფიკი და ანაზღაურება დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე უკრაინის მოქალაქეები პოლონეთში ლტოლვილებად ჩაბარდნენ, დასაქმებისა და ანაზღაურების კუთხით ვითარება შეიცვალა და მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისიც სწორედ მას შემდეგ დაიწყო.

ბათუმელი 26 წლის ანდრია აბაშიძე პოლონეთიდან სამშობლოში სწორედ ამ კრიზისულ პერიოდში დაბრუნდა. უცხოეთში 7 თვის განმავლობაში იმყოფებოდა. იგი გაზეთ „აჭარას“ მოუთხრობს, რა გზა გამოიარა.

- პოლონეთში წასვლის გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, რაც მამა გავხდი და საქართველოში მიღებული ანაზღაურებით ვერ ვაკმაყოფილებდი ოჯახის საჭიროებებს. პატარას ბევრი რამ სჭირდებოდა, ჩვენ მხოლოდ კომუნალური გადასახადებისთვის და საკვები პროდუქტებისთვის ძლივს გვყოფნიდა ხელფასი, რასაც აქ ვიღებდით. სად არ ვიმუშავე, რა არ ვცადე, ზოგმა დამიგვიანა ხელფასის მოცემა, ზოგთან კი ნაკლები იყო ანაზღაურება. ჩემმა სიძემ შემომთავაზა პოლონეთში წასვლა. ის იქ სამი წელიწადია იმყოფება, ჯერ ვერ მოახერხა ჩამოსვლა, რადგან საბუთის აღება პრობლემა გახდა. პატარა ჰყავს მასაც, ბავშვი ისე გაიზარდა, მხოლოდ ინტერნეტით ადევნებს თვალ-ყურს. „პოპიტო საბუთი“ ჰქვია, რომლის აღების შემდეგაც, სურვილის შემთხვევაში, ემიგრანტს სამშობლოში დაბრუნება შეუძლია, ისე, რომ საქმე არ გაუფუჭდეს. მოკლედ, მე გადავწყვიტე წავსულიყავი. ვფიქრობდი იმასაც, რომ ჩემი სიძის მსგავსად, შესაძლოა, ცოლ-შვილი წლები ვერ მენახა, მაგრამ უზრუნველყოფილი მეყოლებოდა. ამ მიზნით მხოლოდ 8 კილოგრამი ბარგით გავემგზავრე პოლონეთში, ზამთარი იყო. ბიჭები დამხვდნენ, ჩემს სიძესთან ერთად ცხოვრობდნენ პოლონეთში, მომცეს კუთხე, სადაც სამსახურის მერე დასვენება შემეძლო, სამზარეულოში ადგილი გამოყვეს ჩემი საკვები პროდუქტებისთვისაც. საჭმლით და ბინით სამსახური არ უზრუნველგვყოფდა, ანაზღაურება საათობრივი იყო, თუ გაგვიმართლებდა, კვირასაც შეგვეძლო მუშაობა. როგორც მეუბნებოდნენ, იღბლიანი აღმოვჩნდი. სამშენებლო ობიექტზე ვმუშაობდი, საათში 20 ზლოტს მიხდიდნენ, დღის განმავლობაში 10 საათს ვმუშაობდი. თავიდან კარგ ხელფასს გამოვიმუშავებდი, თუმცა ბოლო რამდენიმე თვეა, იქაური ფულიც გაუფასურდა და 20 ზლოტის ეკვივალენტი ლარებში 11-12 ლარი გახდა. ფაქტობრივად, ოჯახში მხოლოდ წამლის ფულს ვაგზავნიდი, თან უზომოდ მენატრებოდნენ ჩემები. ყველა წვალობს, ვინც იქითაა. ძალიან ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ომის გამო, თუმცა ბიჭების ნაწილმა დარჩენა გადაწყვიტა. იმედი აქვთ, რომ სიტუაცია გამოსწორდება. მე ჩამოვედი ჩემს ოჯახთან, აქ მუშაობის დაწყებას ვაპირებ. ამ ეტაპზე მოლოდინის რეჟიმში ვარ, თუ ვერ დავსაქმდი, სამ თვეში სხვა გზა არ მექნება, ისევ უკან დავბრუნდები, - გვითხრა ანდრია აბაშიძემ.

ანდრიას მსგავსად წავიდა საქართველოდან სამი შვილის დედა ლარა ქობულაძე, რომელმაც შვილები ბებია-ბაბუასთან დატოვა, შემდეგ კი სამუშაოდ მეუღლეც წაიყვანა. ამბობს, რომ საზღვარგარეთ ემიგრანტები ისეთ პრობლემებს არ აწყდებიან, როგორსაც საქართველოში.

- მიუხედავად იმისა, რომ ზლოტი გაუფასურდა, პოლონეთში ჩამოვედით თუ არა, ნორმალურად გვინაზღაურებდნენ შრომას. სამუშაო გრაფიკიც მისაღები იყო და, რაც მთავარია - სამუშაო პირობებიც. იმედია, ომი მალე დასრულდება, რომ ისევ ის ანაზღაურება დაგვინიშნონ, რაც თავიდან გვქონდა. ამ შემთხვევაში, შვილების ჩამოყვანას და აქ ცხოვრებას ვაპირებ. მე მარწყვის სათბურში ვმუშაობ. ერთადერთი, რაც შეიძლება სირთულედ მივიჩნიო, მთელი დღით ფეხზე დგომაა. შესვენება მხოლოდ ერთი საათი მაქვს და მაშინ შემიძლია ჩამოჯდომა. სხვა არაფერია რთული, არც სიმძიმის აწევა მიწევს, არც სხვა საქმის შესრულება. მხოლოდ მარწყვი უნდა ჩავალაგო კალათებში, - მოგვითხრობს ლარა.

> ***„საათში 20 ზლოტს მიხდიდნენ, დღის განმავლობაში 10 საათს ვმუშაობდი. თავიდან კარგ ხელფასს გამოვიმუშავებდი, თუმცა ბოლო რამდენიმე თვეა, იქაური ფულიც გაუფასურდა და 20 ზლოტის ეკვივალენტი ლარებში 11-12 ლარი გახდა. ფაქტობრივად, ოჯახში მხოლოდ წამლის ფულს ვაგზავნიდი***

მიუხედავად იმისა, რომ ომით შექმნილი ვითარების გამო ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ასობით ქართველი ემიგრანტი დაუბრუნდა ოჯახებს, მათი ნაწილი გამოსავალს ისევ სხვა ქვეყანაში წასვლით ეძებს. ნაწილი კი სამშობლოში რჩება იმ იმედით, რომ დასაქმების კუთხით რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლება.

ფასების ზრდა - ევროპულად, შრომის ანაზღაურება - ქართულად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

- იქნებ ცოტა ფული დამიმატო, შვილო, პენსიით აღარაფერი მომდის, სუპები რომ იყიდება, ხომ იცი, ერთჯერად პაკეტებში, მაგას ვჭამ ხშირად. ხილი მენატრება, ისეთი ფასი აქვს, ვერ გავეკარე. რა ვქნა, პირველ რიგში, წამლები უნდა ვიყიდო, რომ ლოგინად არ ჩავვარდე, მოსავლელი არ გავხდე, - მითხრა მოხუცმა ქალბატონმა და დამნაშავესავით თვალები ამარიდა. ისე მივეცი ხუთ ლარამდე ხურდა, არ შემიხედავს, რადგან მე უფრო შემრცხვა... რთულია უყურო მოხუცი ბებიებისა და ბაბუების დასახმარებლად გამოწვდილ ხელებს და ყელში ბურთივით არ გაგეჩხიროს ბრაზი, თვალზე ცრემლი არ მოგადგეს, რომელიც გინდა შეიკავო, არ დაანახო, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებ...

მაღალი ფასები, გაძვირებული ცხოვრება, ეს ის პრობლემაა, რაზეც ჩვენი გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა, პირველ რიგში, ამახვილებს ყურადღებას. მართლაც, ყველაფერს ცეცხლი უკიდია და ეს გადაჭარბებული ნათქვამი სულაც არ არის. ფასები მედიკამენტებზე, პროდუქტებზე, ყველაფერზე... ბევრად მაღალია, ვიდრე ეს წინა წლებში იყო.

- რა გითხრათ, ფასები თითქმის გაორმაგდა, გასამმაგდა ყველაფერზე, ხელფასები კი იგივე რჩება. ჩვენი შრომის გასამრჯელო ქართული დაგვრჩა, ფასები - ევროპული. უკონტროლოა ფასები მედიკამენტებზე. ძალიან დიდი პრობლემაა და გუშინ არ დაწყებულა. ისედაც გაჭირვებულ ადამიანებს სააფთიაქო ბიზნესი ყვლეფს. ერთსა და იმავე წამალს ყველა აფთიაქში სხვადასხვა ფასი აქვს და ფასწარმოებას არავინ აკონტროლებს ჩვენს ქვეყანაში, თურქეთიდან შემოტანილი იაფი წამლების უმეტესობა კი დეფიციტურია. წამალი მინდოდა მეუღლისთვის, მაგრამ მითხრეს, რომ მარაგი ამოიწურა და არ იციან, როდის შეივსება. აქ ეს წამალი 95 ლარი ღირს და ვერაფრით შევძლებ, რომ ვიყიდო, არადა, კვირაში ერთი აბის მიღება უწევს. წამლის გარდა საარსებოდ რამდენი რამ გინდა ადამიანს, ფუფუნებაზე ხომ არ ვსაუბრობ, უბრალოდ, თავი რომ გაიტანო თვიდან თვემდე, ესეც ძნელია. ისე უიმედოდ ვარ, არ ვიცი, რა გზას დავადგე, როგორ გავწვდე ამდენი პრობლემის მოგვარებას, - გვითხრა მადონა აბაშიძემ.

გაზრდილ ფასებზე საუბრობენ დამსვენებლებიც. მათი თქმით, თუ გასულ წლებში პირობითად, 50-70 ლარად შეეძლოთ ნოყიერად ესადილათ, ახლა 150 ლარიც აღარ არის საკმარისი, შესაბამისად, ძალიან ძვირი უჯდებათ დასვენება.

- გაოგნებული ვარ, ისეთი ფასები დაგვხვდა ბათუმში. მესმის, რომ ყველგან გაზრდილია ფასები, მაგრამ ბათუმი ამ მხრივ არავის უთმობს ლიდერობას. საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერ წავიდოდით გარკვეული მიზეზების გამო, არადა, აუცილებლად გვინდოდა ბავშვების ზღვაზე წამოყვანა. ჩამოვედით, ვისვენებთ, თუმცა იმხელა ხარჯებთან აღმოჩნდა ეს დაკავშირებული, რომ დაგეგმილი 15 დღის ნაცვლად, ერთ კვირაში გადავწყვიტეთ სახლში დაბრუნება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, ბათუმში დასვენების ფასად სხვა საზღვაო კურორტზე წახვალ და უფრო გამართული და ხარისხიანი სერვისით ისარგებლებ. უბრალოდ, როგორც აღვნიშნე, რიგი მიზეზების გამო წელს ვერ შევძელით საზღვარგარეთ გასვლა, თორემ ჩვენი დასვენება ბევრად კომფორტული იქნებოდა, - თქვა ჩვენთან საუბარში დავით მახარობლიშვილმა.

სიძვირესთან ერთად რესტორნებში და კაფე-ბარებში სერვისის გაუმართაობაზე არაერთი ადამიანი გამოთქვამს პრეტენზიას, საყვედურებს შორის ყველაზე ხშირია ის, რომ შეკვეთილი კერძისთვის ლოდინი ძალიან დიდ ხანს უწევთ.

- რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ ზოგადად, ძალიან დიდი პრობლემაა მომსახურების სფეროში. ორი დღის წინ ერთ-ერთ საკმაოდ გარეკლამებულ რესტორანში ჯერ მენიუში ჩამოთვლილი კერძებიდან ძალიან ბევრზე გვითხრეს, რომ არ აქვთ, შემდეგ კი ზუსტად 2 საათი და 20 წუთი გვალოდინეს. არადა, საერთოდ არ გვითხოვია ეგზოტიკური კერძი, რომლის მოსამზადებლად ზღვაში უნდა შეეცურათ, ნიანგი დაეჭირათ და მისი ხორცი მოერთმიათ. კი, მართალი ხართ, ღიმილის მომგვრელია ეს შედარება, თუმცა უდიდესი პრობლემის შედეგია და ამაზე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ. ყველაზე დიდი პრობლემა იცით რაა? თითქმის არცერთ დამსაქმებელს არ სურს, როგორც ამბობენ, „ზედმეტი ხარჯის გაღება“, მაგალითად, თუ ჰყავს 10 მიმტანი და ესაჭიროება 15, რა თქმა უნდა, ერთს ამატებს, ან ვინც ჰყავს, იმათ ეუბნება, რომ ძალები გაიორმაგონ, ამ ყველაფერში კი იგივე თანხას უხდის. მზარეული თუ ჰყავს ორი და სჭირდება ოთხი, აქაც იგივე სიწუწკეს იჩენს, შესაბამისად, ჩნდება ის პრობლემები, რაზეც საუბრის დასაწყისში მოგახსენეთ. მოკლედ, რაღაც თუ არ შეიცვალა ამ კუთხით, დამსაქმებლებმა თუ არ გაიაზრეს, რომ ეს პრობლემა უნდა მოაგვაროონ და ამისთვის თანხები უნდა დახარჯონ, არაფერი შეიცვლება. ყოველ წელს ვიწუწუნებთ არასათანადო სერვისზე. მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ რაღაც მექანიზმი უნდა შეიმუშაოს აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მხოლოდ „ეს გაიხსნა, ის გაიხსნათი“ არ უნდა შემოვიფარგლოთ. თუ გაიხსნა, იქ მისულს სიამოვნების შეგრძნება უნდა დაგეუფლოს და არა სურვილი, რომ მეორედ აღარ მიხვიდე, - გვითხრა გიზო ბაქრაძემ.

საზოგადოებას ყველაზე მეტად ეკონომიკური პრობლემები აწუხებს, გაზრდილი ფასები პირდაპირ აისახება თითოეული ოჯახის ცხოვრებაზე, ყოველდღიურობაზე. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მისი ყოველი მოქალაქე თანაბრად დაცული იყოს, უნდა იზრუნოს ყველა მათგანის კეთილდღეობაზე, შექმნას სამუშაო ადგილები, სადაც ადამიანებს შრომა სათანადოდ დაუფასდებათ.

რისკები შემცირებულია

„ის რისკები, რაც, ვთქვათ, გუშინ იყო, უკვე თავიდან არის არიდებული და იმ კერების ლოკალიზება მოხდა, რაც შეიძლებოდა გავრცელებულიყო დასახლებული პუნქტების მიმართულებით, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ გუშინ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში ჟურნალისტებთან საუბრისას, - გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით ადგილზე გავეცანი ვითარებას, რათა სამომავლო რისკები შეგვეფასებინა, გადაწყვეტილება მიგვეღო, არის თუ არა აღნიშნულ ღონისძიებაში ჯარის ჩართვა საჭირო. გუშინვე პრემიერ-მინისტრმა განკარგულება გამოსცა, რის მიხედვითაც საქართველოს თავდაცვის ძალები აღნიშნულ ღონისძიებაში ჩაერთო. ამ ეტაპზე მობილიზებული გვყავს ტექნიკა, ყველა საშუალება, რაც შეიძლება აქ საჭირო იყოს, ასევე, ცოცხალი ძალა“.

კითხვაზე, რატომ არ ჩაერთო სამუშაოებში ხანძრის გაჩენის პირველსავე დღეს ვერტმფრენი, თავდაცვის მინისტრმა უპასუხა, რომ არიან კომპეტენტური ადამიანები და უწყებები, რომლებიც რისკს აფასებენ და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებენ, თუ რა სახის ტექნიკაა იმ ეტაპზე საჭირო, რომ ჩაერთოს. „ვერტმფრენის ჩართულობა ამ კერებს 19-შივე ვერ შეამცირებდა“, - განაცხადა ბურჭულაძემ.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტყეში ხანძრის ჩაქრობას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები და სამხედრო მოსამსახურეები ამ დრომდე ცდილობენ.

ამირან გურიელიძე

ირაკლი შარაბიძე: „მერიდიანის“ მთავარი არსი და მიზანი ხარისხია

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ირაკლი შარაბიძე 19 წლის იყო, როცა კაპიტნის მესამე თანაშემწედ წავიდა გემზე, 27 წლისა კი თავად გახდა შორეული ნაოსნობის კაპიტანი. 6-წლიანი კაპიტნობის შემდეგ, 2010-2012 წლებში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, 2012 წლიდან 2022 წლის თებერვლამდე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი იყო, ხოლო ამჟამად ამავე უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორია და საზღვაო ნავიგაციის მიმართულებით რამდენიმე კურსს უძღვება. 2021 წელს პარტნიორ თომა მიქელაძესთან ერთად დააარსა მეზღვაურთა საწვრთნელი და გადამზადების ცენტრი „მერიდიანი“

რას საქმიანობს ცენტრი, რაა მისი მიზანი და რა მომსახურებას სთავაზობს მეზღვაურებს? - ამ და სხვა კითხვებზე თავად ირაკლი შარაბიძე გვპასუხობს.

- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციის შესაბამისად, მეზღვაური რომ გახდე, საზღვაო განათლებასთან ერთად, აუცილებელია, სასწავლებლის დიპლომის აღების შემდეგ გაიარო სპეციალური გადამზადების კურსები და მიიღო შესაბამისი კომპეტენციის სერტიფიკატი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა თანამდებობაზე და რა დონეზე შეგიძლია დასაქმდე გემზე. ამას გარდა, ყველა მეზღვაური ვალდებულია, მიუხედავად რანგისა, 5 წელიწადში ერთხელ გაიაროს გადამზადების კურსები. ჩვენი საწვრთნელი და გადამზადების ცენტრი „მერიდიანი“, რომელიც შარშან გავხსენით, ემსახურება იმას, რომ ყველა მეზღვაური, ქართველი თუ სხვა ქვეყნის, გადავამზადოთ, გაიაროს სხვადასხვა კურსი და მიიღონ სერტიფიკატი, რომელიც აღიარებული იქნება საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. შესაბამისად, ჩვენი ცენტრიც აღიარებულია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. ამ ეტაპისთვის გვაქვს 38 კონვენციური კურსი და დაახლოებით 50-მდე შიდა კურსი, რომელებიც არ არის კონვენციური, თუმცა მორგებულია გემთმფლობელების, დამსაქმებლების, მეზღვაურების მოთხოვნებს. გვაქვს ისეთი კურსებიც, რომლებიც სხვადასხვა სფეროს ემსახურება, ეს იქნება პირველადი სამედიცინო დახმარება თუ სასტუმროს მიმართულება. გარდა ამისა, ჩვენ ვართ ერთ-ერთი პირველი სასწავლო დაწესებულება საზღვაო სფეროში, რომელმაც შემოიტანა საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების საერთაშორისო ხარისხის სტანდარტი ISO 9001, ლოიდის რეგისტრი და წარმატებითაც გავიარეთ აუდიტი. ვართ ერთ-ერთი დაწესებულება საქართველოში საზღვაო მიმართულებით, რომელიც ლოიდის ინგლისური რეგისტრის მიერაა აღიარებული. ჩვენ დასაწყისშივე მთავარი აქცენტი გავაკეთეთ ხარისხზე, მოვიწვიეთ ჩვენი 25-წლიანი გამოცდილების მქონე პარტნიორები ლატვიიდან, საზღვაო საწვრთნელი ცენტრის „ნოვიკონტასის“ წარმომადგენლები, რომლებიც პროგრამის და სილაბუსების შექმნაში დაგვეხმარნენ. ჩვენ ვართ ექსკლუზიური პარტნიორები, გვაქვს სისტემატური კავშირი მათთან, ხდება სასწავლო მასალების განახლება, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენ მიერ მიწოდებული, ჩატარებული და ორგანიზებული კურსები იყოს მაღალი ხარისხის. გამომდინარე აქედან, უკვე რამდენჯერმე ჩავუტარეთ კურსი ჩვენს საზღვარგარეთელ პარტნიორებს, მეზღვაურებს და საზღვაო მიმართულებით დასაქმებულ სპეციალისტებს.

- როგორ გაჩნდა ამ ცენტრის შექმნის იდეა?

- ჩვენ კარგად ვიცით, რომ საზღვაო სექტორი, საზღვაო მიმართულება საქართველოში ახლა იდგამს ფეხს. დღეს ის ნაკლებად განვითარებულია, გვაქვს მხოლოდ კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და ნავსადგურები, დანარჩენი მიმართულებით, იქნება ეს გემთმფლობელის თუ გემთმენეჯმენტის მიმართულება, საქართველო ძალიან მოიკოჭლებს. მეზღვაურმა თუ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უნდა გემზე წასვლა, სურს ოჯახთან დარჩენა და ხმელეთზე დასაქმება, მისთვის ეს ძალიან რთულია. ამ ყველაფრის გაანალიზებით გვმუშაობთ სხვადასხვა მიმართულებით. მეზღვაურის გადამზადებისათვის მხოლოდ თეორიული განათლება არ არის საკმარისი, აუცილებელია პრაქტიკაც. კარგად მოგეხსნებათ, რომ ყველა მეზღვაურს სჭირდება, სულ ცოტა, 12-თვიანი საცურაო პრაქტიკა, რათა განათლების დიპლომი, კომპეტენციის სერტიფიკატი აიღოს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცენტრი „მერიდიანი“ აღჭურვილია თანამედროვე სიმულატორებით, რაც მეზღვაურს საშუალებას აძლევს, გაიაროს პრაქტიკა დაახლოებით იმ გარემოში, სადაც მოუწევს მუშაობა. უმთავრესი, უსერიოზულესი და უმძიმესი საკითხი იყო ინსტრუქტორ-მასწავლებლების მოძიება, თუმცა მაქსიმუმი გავაკეთეთ, რომ კარგი გუნდი ჩამოგვეყალიბებინა. ცენტრში გვყავს დაახლოებით 25-მდე ინსტრუქტორ-მასწავლებელი, რომლებიც არიან მოქმედი მეზღვაურები, მათ გაიარეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალური გადამზადების კურსი და დღეს თანამედროვე მეთოდოლოგიით, თანამედროვე მიდგომებით ატარებენ ხარისხიან და საჭირო ლექციებს.

- რა არის „მერიდიანის“ მთავარი არსი და მიზანი?

- „მერიდიანის“ მთავარი არსი და მიზანი არის ხარისხი. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ ყველას, რომ ჩვენთან გავლილი კურსების შემდეგ, მეზღვაურები მართლაც იღებენ კარგ, საჭირო და აუცილებელ შედეგებს, რომელსაც შემდგომ იყენებენ საერთაშორისო ბაზარზე.

- რა ტიპის მომსახურებას სთავაზობთ მეზღვაურებს?

- ჩვენ ყველა რანგის მეზღვაურს ვამზადებთ, 5 წელიწადში ერთხელ ისინი გადიან სპეციალურ გადამზადებას. ასევე, მაქსიმალურად ვაწვდით მათ ყველა იმ ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია როგორც გემზე, ისე ხმელეთზე. „მერიდიანმა“ ექსკლუზიური ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ წარმატებულ სადაზღვევო კომპანია „ევროინსთან“. ყველა ქართველ მეზღვაურს, ასევე მათ ოჯახებს ვთავაზობთ ექსკლუზიურ დაზღვევას, რაც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი წარმატებული, წინ გადადგმული ნაბიჯია. ასევე, ჩვენთან მოსულ მეზღვაურებს ვთავაზობთ ავტომანქანების დაზღვევას. როცა ტრენინგცენტრში მოვა, გაივლის კურსებს, ეს ერთწლიანი პაკეტი საჩუქრად გადაეცემა. ასევე გავაკეთეთ „მერიდიანი კლუბი“, სადაც გაწევრიანებულ მეზღვაურებს ყველა ჩვენთან გავლილი კურსის შემდეგ ერიცხებათ ქულები, რომლებიც შეუძლიათ, გადაცვალონ უფასო კურსებში ან ისარგებლონ სხვადასხვა ფასდაკლების პაკეტით. ჩვენ პირველებმა შევიმუშავეთ სპეციალური თვენახევრიანი კურსები, რომელიც აძლევს მეზღვაურებს საშუალებას, მოვიდნენ ჩვენთან, გადამზადდნენ და ამის შემდეგ გაიარონ გასაუბრება, დასაქმდნენ წარმატებულ კომპანიებში. „მერიდიანმა“ მოიწვია 2 უცხოელი ინგლისური ენის სპეციალისტი, ფილოლოგები, რომელთაც აქვთ საზღვაო სფეროში გამოცდილება და ჩვენ ასევე პირველებმა შევიმუშავეთ მეზღვაურებისთვის დაჩქარებული კურსები ინგლისური ენის მიმართულებით, რადგანაც, მოგეხსენებათ, საერთაშორისო საზღვაო ენა ინგლისურია.

- ტრენინგ-პროგრამებსა და სხვა ღონისძიებებზეც გვითხარით...

- ჩვენთან მოსული ნებისმიერი მსურველი, მიიღებს შემდეგი მიმართულების ცოდნას: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები; უსაფრთხოების განსაკუთრებული ვალდებულებები; ხელმძღვანელობა და გუნდური მართვა; ელემენტარული პირველადი დახმარება; პირველადი სამედიცინო დახმარება; ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლა; პირადი გადარჩენის მეთოდები; ნავთობმზიდი და ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების გაცნობითი წვრთნები; კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და სამაშველო კატარღების მართვა. რაც შეეხება ნავიგაციის ოფიცრებს, მათთვის ხელმისაწვდომია პროგრამა - სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვა; ხოლო სამანქანე ოფიცრებისთვის - სამანქანე განყოფილების რესურსების მართვა.

- რითი გამოირჩევა „მერიდიანი“ სხვა მოსამზადებელი ცენტრებისგან?

- ზემოთ აღვნიშნე და კვლავ გავიმეორებ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი და ამოცანა არის ხარისხი და მაქსიმუმს ვაკეთებთ, რათა ეს ხარისხი ბოლომდე შევინარჩუნოთ. ცენტრში გვაქვს კარგი გარემო, ინფრასტრუქტურა და ულტრათანამედროვე სიმულატორები, რომლებიც 2021 წელს შექმნა ფინურმა კომპანიამ. ჩვენმა ყველა მსმენელმა გაიარა პრაქტიკული კურსი და არიან ძალიან კმაყოფილი, რადგან ეს მაქსიმალურად დაახლოებულია იმ გარემოსთან, სადაც მათ უწევთ მუშაობა. ასევე, ყველა ინსტრუქტორი, ყველა პედაგოგი მოქმედი მეზღვაურია, ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებიც დასაქმებულნი არიან წარმატებულ და პრესტიჟულ კომპანიებში. ისინი მეზღვაურებს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის კურსებს.

- გეგმებზე რას გვეტყვით?

- ეს არის ჩვენი პირველი ნაბიჯები. უკვე 1 წელია, საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს. გაისისთვის ვგეგმავთ საზღვაო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრის, შემდეგ კი პროფესიული სასწავლებლის გახსნას. ასევე, გვსურს, რაც შეიძლება მეტი მეზღვაური მოვიზიდოთ და ბევრი უცხოელი პარტნიორი შევიძინოთ ამ პერიოდში.

- თქვენ იყავით საზღვაო აკადემიის რექტორი, წლების განმავლობაში უშუალო შეხება გქონდათ როგორც მომავალ, ასევე მოქმედ მეზღვაურებთან. რა არის ის მნიშვნელოვანი და საჭირო, რაც ნებისმიერმა მათგანმა უნდა იცოდეს?

- 10 წელი ვიყავი ბათუმის საზღვაო სახელმწიფო აკადემიის რექტორი. ყველაზე პრობლემატური საკითხი, რაც მაშინაც იყო და ახლაც არსებობს, არის ის, რომ ბევრს უნდა, გახდეს მეზღვაური, მაგრამ ისინი ვერ საზღვრავენ იმას, თუ რაოდენ რთულია ეს პროფესია. უმეტეს მათგანს არ აქვს გააზრებული, რას ნიშნავს იყო კარგი მეზღვაური. სტუდენტების დაახლოებით 30% საზღვაო აკადემიას ვერ ამთავრებს, უჭირთ სწავლა. ყველაზე მეტ სტუდენტს საზღვაო განათლების მიღების დროს უჭირს ფიზიკის და მათემატიკის ათვისება. დაახლოებით 10% პირველი საზღვაო პრაქტიკის შემდეგ ხვდება, რამხელა სირთულეს შეეჭიდა. ჩემი აზრით, 18 წლის ახალგაზრდისათვის ცოტა რთულია, მიიღოს ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება, რომ მეზღვაურობა სურს. საჭიროა უფრო მეტი ინფორმირებულობა, რათა მათ კარგად გაიაზრონ, რას ნიშნავს, იყო მეზღვაური.

- რას ურჩევთ დამწყებ მეზღვაურებს?

- პირველ რიგში, მათ და მათ მშობლებს ვურჩევდი, ყურადღება გაამახვილონ ტექნიკურ საგნებზე - მათემატიკაზე, ფიზიკაზე და, რა თქმა უნდა, ინგლისურზე. ყველაზე დიდი შეცდომაა, როცა მხოლოდ ეროვნულ გამოცდებზე არიან ორიენტირებულები, რადგან მთავარი ის სამი საგანია, რაც ზემოთ ვახსენე. ყოფილა შემთხვევა საზღვაო აკადემიაში, როცა მაღალი ქულებით ჩარიცხულ სტუდენტს ძალიან გაუჭირდა სწავლა. სკოლის მერხიდან პირდაპირ საზღვაო აკადემიაში გააგრძელო სწავლა და აირჩიო პროფესია, რასაც მეზღვაურობა ჰქვია, ძალიან რთულია, ამიტომ სტუდენტების უმრავლესობა ვერ იღებს იმ შედეგს, რაც აუცილებელია წარმატებულ კომპანიებში დასაქმებისთვის. ძალიან გთხოვთ, ყველამ დიდი დრო დაუთმეთ ფიზიკას, მათემატიკას და უცხო ენას, ეს არის უმთავრესი.

> **„უმეტეს მათგანს არ აქვს გააზრებული, რას ნიშნავს იყო კარგი მეზღვაური. სტუდენტების დაახლოებით 30% საზღვაო აკადემიას ვერ ამთავრებს, უჭირთ სწავლა. ყველაზე მეტ სტუდენტს საზღვაო განათლების მიღების დროს უჭირს ფიზიკის და მათემატიკის ათვისება. დაახლოებით 10% პირველი საზღვაო პრაქტიკის შემდეგ ხვდება, რამხელა სირთულეს შეეჭიდა**

კომერციული ბანკების წმინდა მოგება ისევ იზრდება

2022 წლის ივლისში კომერციული ბანკების წმინდა მოგება წინა თვესთან შედარებით 138,3 მლნ ლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 114,5 მლნ ლარით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ამა წლის ივლისში კომერციული ბანკების წმინდა მოგება იყო 292,462 მლნ ლარი, ივნისში - 154,156 მლნ ლარი, გასული წლის ივლისში კი ბანკების წმინდა მოგებამ 177,956 მლნ ლარი შეადგინა.

2022 წელს ბანკების მიერ მიღებული წმინდა მოგება თვეების მიხედვით ასე გამოიყურება: იანვარი - 212,695 მლნ ლარი; თებერვალი - 90,610 მლნ ლარი; მარტი - 110,181 მლნ ლარი; აპრილი - 109,394 მლნ ლარი; მაისი - 159,034 მლნ ლარი; ივნისი - 154,156 მლნ ლარი; ივლისი - 292,462 მლნ ლარი.

ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ამა წლის ივლისში კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 685,093 მლნ ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 479,225 მლნ ლარი. ივლისში კომერციული ბანკების ხარჯებმა 357,196 მლნ ლარი შეადგინა.

ამავე სტატისტიკით, ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 8,380 მლნ ლარი, საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ კი 97,962 მლნ ლარი შეადგინა. წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 53,642 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს.

ამირან გურიელიძე

ვაზიანში სასმელი წყალი აღარ უჭირთ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ახალი ქართული სოფელი გაჩნდა. იგი მეტწილად, სტიქიისგან დაზარალებულმა შუახეველებმა დააარსეს და სახელიც - «ვაზიანი» დაანათლეს. 30 წლის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ურბანიზაციის პროცესებმა როგორც აჭარაში, ისე ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში სოფლები დააცარიელა, რაც, სამწუხაროდ, ახლაც გრძელდება. ვაზიანელებმა ცხოვრება არ მოშალეს. პირველმკვიდრი 120 ოჯახიდან 100-ზე მეტი ცხოვრებას, შრომას, ქართული მიწის ბარაქით ოჯახის რჩენას, ქვეყნის ბაზრის შევსებას ისევ აგრძელებს. ისიც საამაყოა, რომ სხვაგან გადასულებმა კუთვნილი სახლები ისევ ქართველებზე გაასხვისეს. ჩვენი სტუმარია ვაზიანის მკვიდრი თემურ დიასამიძე

- მაშინ 30 წლის ვიყავი, როცა ვაზიანში დასახლება გადავწყვიტეთ. ტბეთის, გოგაძეების, ჯაბნიძეების, ჭვანის, კვირიაულის, ლომანაურის, გომარდულის, ნაღვარევის, ბრილის, ბესელაშვილების და სხვა სოფლების მკვიდრებმა არჩევანი ამ ადგილზე რომ შევაჩერეთ, ზოგიერთმა გადაწყვეტილება დაგვიწუნა, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდით. ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 120 სახლს ჩაუყარა საძირკველი. მაშინ მეუღლე ციალა ქათამაძე, შვილები გოჩა და კახა სართიჭალის მეურნეობის ბინებში ცხოვრობდნენ. როგორც კი ჩვენთვის განკუთვნილი სახლის მშენებლობა დასრულდა, ახალმოსახლეობა ვიზეიმეთ. სახლებს ჩვენვე ვაშენებდით და გასამრჯელოსაც კარგად გვიხდიდნენ. უნდა გენახათ ახალმოსახლეთა ენთუზიაზმი, გივი ბერიძის, დემურ ქათამაძის, თემურ ჯაფარიძის, ამირან ნატარიძის, რეზო დარჩიძის, ხვიჩა კონცელიძის შემართება. სამწუხაროდ, ეს ადამიანები წუთისოფელში აღარ არიან. ჩიტი ბუდისთვის ჩალაბულას რომ ეზიდება, ისე მოგვქონდა ვაზის, ხეხილის ნერგები. ქვაღორღიანი მიწა ისე დავამუშავეთ, რომ შემოგარენში მცხოვრები აზერბაიჯანელებიც, რომლებმაც მიწაზე შრომა კარგად იციან, განცვიფრებაში მოდიოდნენ. ჩვენი დასახლება ლილოს სავაჭრო ცენტრის სიახლოვესაა. ახლობლები, მეგობრები ყველა ოჯახს სტუმრობდნენ. ნოდარ ფევაძე ფესტივალებზე, მოსწავლეთა ოლიმპიადებზე ანსამბლებს თბილისში რომ ჩამოიყვანდა, მათი ნავსაყუდელი ვაზიანი იყო. გვსტუმრობდნენ ჟურნალისტები როგორც აჭარიდან, ისე თბილისიდან. 1989 წელს, იმ დღეებში, როცა მერაბ კოსტავა დაიღუპა, ვაზიანელებმა სერგო კაკაურიძეს, ვალერი მითაიშვილსა და თქვენ გიმასპინძლეთ. სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსად მეუფე სპირიდონი მცხეთის საკათედრო ტაძარში რომ გამოარჩიეს, იმ საღამოს ჩემს ოჯახს 20-ზე მეტი შუახეველი სტუმრობდა. 2005 წელს გვეწვივნენ აწ განსვენებული პროფესორი ბიჭიკო (მათე) დიასამიძე, პროფესორი თამაზ ფუტკარაძე, პოლიტოლოგი თამაზ ლომიძე...

- აქ კეთილმოწყობილი სახლები, მოვლილი კარმიდამო, თანამედროვე სოფლის შესაფერისი ინფრასტრუქტურა...

- ხელისუფლების თანადგომის გარეშე აქ ცხოვრება გართულდებოდა. ქაოსისა და არეულობის წლებში ჩვენთვის აღარავის ეცალა. დიდ თანადგომას ვერც «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» მმართველობის წლებში ვგრძნობდით. ჩვენი სოფელი ვაზიანის სამხედრო ნაწილს და საწვრთნელ ბაზას ემიჯნება. ქვეყნის პირველი პირები თვეში ერთხელ მაინც მიდიოდნენ იქ, ჩვენკენ კი თავსაც არ მოატრიალებდნენ. ადამიანები მას აქებენ, ვისგანაც სიკეთე მიიღეს. დავით სერგეენკო, კახა კალაძე, ირაკლი კობახიძე სოფელში გვსტუმრობდნენ. მათ შევჩივლეთ, რომ ვაზიანის ირგვლივ სოფლები გაზიფიცირებული იყო, ჩვენ კი ამ სიკეთით ვერ ვსარგებლობდით, ისიც ვთქვით, რომ სოფლიდან ბავშვები თბილისის ბაგა-ბაღებში დაგვყავდა. ორი დღეც არ იყო გასული და გაზიფიცირების თაობაზე სპეციალისტები გამოჩნდნენ. სულ მალე ბაგა-ბაღის ტერიტორია მონიშნეს, მშენებლობა დაიწყეს. ვაზიანში ახალი მართლმადიდებლური სამლოცველოც ავაშენეთ. ოჯახში 11 წევრი ვართ, ყველა მართლმადიდებლობას ვეზიარეთ.

- ნათლიებად ვინ ამოარჩიეთ?

- ცნობილი ბიზნესმენი, მეცენატი ვაჟა დავითაძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი მეცნიერი ჯემალ ფუტკარაძე. მისი მამული ჩემს მამულს ემიჯნება.

- ერთ დროს ვაზიანში სასმელი წყლის პრობლემა იყო?

- ეს პრობლემა ჩემი აქტიურობით მოგვვარდა. ვაზიანის სამხედრო ნაწილში ტექნიკური მუშაკის პოზიციაზე ვარ. დილით გამოაცხადეს, რომ ნაწილს ქვეყნის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია უნდა წვეოდა. მასთან შეხვედრისას პრობლემებზე ვისაუბრე. ყურადღებით მომისმინა. ვუთხარი, რომ ტექნიკური მუშაკების ხელფასი ძალიან დაბალი იყო და მომატება ვთხოვე. უმალვე 100 ლარით გაგვიზარდა. ისიც აღვნიშნე, რომ სამხედრო ნაწილის სასმელი წყლით მოსამარაგებელი აუზიდან წყალი უმიზნოდ იღვრებოდა და სკოლა, ბაგა-ბაღი, ეკლესია სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიდა. სარდალს უხმო და იკითხა, რამდენი დღეა საჭირო, რომ სოფლის სასიცოცხლო ობიექტებს წყალი მიეწოდოსო. 10 დღეშიო, - იყო პასუხი. 5 დღის შემდეგ წყალი გვქონდა. ეს სპონტანური შეხვედრა იყო. ერთი წლის შემდეგ, ნაწილში რომ მოვიდა, დამიბარა და შედეგი იკითხა. მადლობა გადავუხადე.

- სოფელმა «ფიგარო» რატომ შეგარქვა?

- უკანდახევა არ ვიცი. საქმესაც რომ წამოვიწყებ, სისრულეში თუ არ მოვიყვანე, არ მოვეშვები. სასიცოცხლო ობიექტები სასმელი წყლით კი მომარაგდა, მაგრამ 120 ოჯახს ისევ აწუხებდა ეს პრობლემა. ქვეყნის თავდაცვის მინისტრის პოსტზე ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რომ იყო, პრემიერ გიორგი გახარიასთან ერთად გვსტუმრობდა. შეხვედრა იმ ნაწილში არ იყო, სადაც მე ვმუშაობდი. ორგანიზატორებს ვუთხარი, შეხვედრის დასრულების შემდეგ სახელდახელო სცენის დასაშლელად მომიწვიეს-მეთქი. სიტუაცია გაარკვიეს თუ არა, ხუთი ჯარისკაცის თანხლებით ჭიშკრის გადაღმა გამიყვანეს. დავინახე, ავტომობილის საჭეს ნაცნობი მძღოლი უზის, უკანა სავარძელშიც მოვთავსდი და... შეხვედრა დასრულდა. მინისტრი მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა, რომ მივაძახე, ბატონო მინისტრო, თქვენთან შეხვედრაზე ვარ მოსული-მეთქი. მიმიწვია, მომისმინა. მისი წინამორბედის თანადგომაც გავიხსენე. არც ის დამიფარავს, რომ სასმელი წყალი უმიზნოდ იღვრებოდა. ჩვენ არც მილს, არც სამუშაოს შესრულებაზე მუშახელის გამოყოფას არ ვითხოვდით - 800 მეტრი მილი ჯემალ ფუტკარაძემ შეგვიძინა და მთელი სოფელი ამ ხაზზე ჩაერთო.

.. დღეს უკვე მდინარე იორიდან 5 სოფლისთვის ახალი წყალსადენი გამოჰყავთ და სასმელი წყალი არ მოგვაკლდება. მის გადასახადს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გვიფინანსებს. ამაგს ვერ დავუკარგავთ სამხედრო ადმინისტრაციის უფროსს (გუბერნატორი) შოთა რეხვიაშვილს, ყოფილ გამგებელს გოჩა ჯამარაულს, ახლანდელი მერის მოადგილე რამაზ ბუდაღაშვილს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაურს, ქვეყნისა და რეგიონის სამელიორაციო სამსახურის ხელმძღვანელობას. სოფელს ბექა საათაშვილის სახით დღეს კარგი მეთვალყურე ჰყავს.

- ვაზიანში ორი ძმა ცხოვრობთ. ბესელაშვილებში არსებული კერა რა მდგომარეობაშია?

- ოჯახში ოთხი ძმა და ერთი და ვიზრდებოდით. დალხენილი ბავშვობა არ გვქონია. მამა ინვალიდი იყო. ოჯახის ტვირთი დედასა და ჩვენს ზურგზე გადადიოდა. ორმა ძმამ ცხოვრება ჩაქვში მოიწყო, ორიც აქ ვართ. მამისეულ კერას ძმისშვილი პატრონობს. ბადრი ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთში გადმოვიდა საცხოვრებლად. მარტო ყოფნა გაუჭირდა და ვაზიანში გამოვუნახე საცხოვრისი.

- დასაქმებული ხარ, დასაქმებული არიან შვილები. მთელი სოფელი ასეა თუ...

- თითქმის ყველა ოჯახიდან ორი ან სამი წევრი საჯარო სამსახურში, სამხედრო ნაწილში ან ბიზნესშია დასაქმებული. ზოგიერთმა საოჯახო სასტუმროც მოაწყო. ალბათ, მალე, ჩვენც ორ ოჯახად გავაგრძელებთ ცხოვრებას.

> ***„სასიცოცხლო ობიექტები სასმელი წყლით კი მომარაგდა, მაგრამ 120 ოჯახს ისევ აწუხებდა ეს პრობლემა. ქვეყნის თავდაცვის მინისტრის პოსტზე ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რომ იყო, პრემიერ გიორგი გახარიასთან ერთად გვსტუმრობდა. შეხვედრა იმ ნაწილში არ იყო, სადაც მე ვმუშაობდი. ორგანიზატორებს ვუთხარი, შეხვედრის დასრულების შემდეგ სახელდახელო სცენის დასაშლელად მომიწვიეს-მეთქი...“***

უკრაინა

უკრაინის გენერალური შტაბის ინფორმაციით, 24 თებერვლიდან, სრულმასშტაბიანი ომის 6 თვის განმავლობაში, უკრაინული ძალების მიერ რუსეთის 45 400 ჯარისკაცია ლიკვიდირებული, მათ შორის 200 ბოლო დღე-ღამის განმავლობაში. მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპანტების კუთვნილი სხვადასხვა სახის აღჭურვილობაც გაანადგურეს. „მტრის საერთო დანაკარგი ასევე მოიცავს: 1 919 ტანკს, 4 230 ჯავშანმანქანას, 1032 საარტილერიო სისტემას, 266 ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას, 145 საჰაერო თავდაცვის სისტემას, 234 თვითმფრინავს, 198 ვერტმფრენს, 3149 ავტომობილსა და საწვავის ავზს, 15 გემს/ნავს, 815 უპილოტო საფრენ აპარატს, 99 ერთეულ სპეცტექნიკას, 194 ფრთოსან რაკეტას“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის თანახმადაც დატყვევებული უკრაინელი მეომრების საჩვენებელი სასამართლო პროცესი იგეგმება და აცხადებს, რომ ასეთი „შოუს“ გამართვის შემთხვევაში, უკრაინა რუსეთთან მოლაპარაკებებს აღარ გამართავს. „რაც არ უნდა იფიქრონ ოკუპანტებმა, რაც არ უნდა დაგეგმონ, ჩვენი სახელმწიფოს რეაქცია აბსოლუტურად მკაფიო იქნება. თუ ეს საზიზღარი შოუ სასამართლო პროცესი გაიმართება, თუ ჩვენს ხალხს ამ დეკორაციებზე შეიყვანენ ყველა შეთანხმების, ყველა საერთაშორისო წესის დარღვევით, ეს იქნება ის ხაზი, რომლის მიღმაც ნებისმიერი მოლაპარაკება შეუძლებელია. რუსეთი მოლაპარაკებებიდან საკუთარ თავს მოწყვეტს. საუბარი აღარ იქნება. ჩვენმა სახელმწიფომ ყველაფერი თქვა“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

გერმანიამ უნდა გააგრძელოს უკრაინისთვის იარაღის მიწოდება, რუსი ოკუპანტების შემდგომი წინსვლის აღკვეთის მიზნით, - ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა განაცხადა, „თუ ამჟამად შეუძლებელია ომის დასრულება მოლაპარაკებების გზით, ჩვენ გვაქვს არჩევანი: ან არაფერი გავაკეთოთ, ან ვთქვათ, რომ გავუწევთ სამხედრო მხარდაჭერას, რათა რუსეთის შემდგომი წინსვლის აღკვეთა მოხდეს, რადგან ალტერნატივა იქნება მილიონობით ადამიანის ბედის ანაბარა მიტოვება“, - აღნიშნა ბერბოკმა. მისი თქმით, დემოკრატიულმა ქვეყნებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ უკრაინის მხარდასაჭერად, რადგან საუბარია უკრაინაში ადამიანის სიცოცხლის დაცვაზე.

* * *

ოკუპირებულ დონეცკში აფეთქებების ხმა ისმის. თვითმხილველების თქმით, რუსული საბრძოლო მასალის საწყობი აფეთქდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჰიპერმარკეტ „აშანის“ მიდამოში ხანძარი მძვინვარებს. კადრებში ჩანს, რომ ხანძრის მასშტაბები დიდია. გავრცელებულ კადრებში ძლიერი აფეთქებების ხმაც ისმის. თვითმხილველების თქმით, ჭურვები სხვადასხვა მიმართულებით მიფრინავს და ფანჯრებთან დგომა სახიფათოა.

* * *

რუსებმა ბელგოროდის მხრიდან ხარკოვი რაკეტებით დაბომბეს, - ამის შესახებ ქალაქის მერმა იგორ ტერეხოვმა განაცხადა. მისი თქმით, თავდასხმა კიევის რაიონში განხორციელდა, რის შედეგადაც ორსართულიანი შენობა განადგურდა და მცირე ხანძარი გაჩნდა. მერის თქმით, ჯერჯერობით არ ვრცელდება ინფორმაცია დაღუპულების ან დაშავებულების შესახებ.

* * *

რუს ოკუპანტებთან ბრძოლები კრამატორსკისა და ბახმუტის მიმართულებით გრძელდება, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი იუწყება. მათივე ინფორმაციით, მტერმა დაბომბა კატერინივკას ტერიტორია და სუმის ოლქის სოფელ ობოდი. ხარკოვის მიმართულებით დაიბომბა სვეტლიჩნის, სლატინის, პიტომნიკის, პეტროვკას, სენდის, გუსაროვკას, მოსპანოვეს, კოლოდეზნოისა და პრიშიბის მახლობლად ტერიტორიები. კრამატორსკის მიმართულებით დაბომბვა დაფიქსირდა რაზდოლევკას, გრიგოროვკას, ვერხნეკამენსკის, დრონოვკასა და სერებრიანკას მახლობლად. მტერი ცდილობს შეტევას სპორნოე-ვესელეს მიმართულებით. ბახმუტის მიმართულებით, მტერმა ცეცხლი გაუხსნა სოლედარის, ზაიცევოსა და ბელოგოროვკის დასახლებების ტერიტორიებს, ახორციელებდა შეტევას ვერშინა-კოდემადს და გლადოსოვო-კოდემას მიმართულებით მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ავდიივკას მიმართულებით მტერმა არტილერიით დაბომბა მარინკას, პესკის, ავდიივკასა და ნეველსკოეს ახლომდებარე ტერიტორიები. ის ცდილობდა თავდასხმის ოპერაციების ჩატარებას რამდენიმე დასახლების მიმართულებით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

* * *

დონეცკის ოლქში ოკუპანტებმა გასული დღე-ღამის განმავლობაში 10 დასახლება დაბომბეს, დარტყმები დაფიქსირდა საცხოვრებელ სექტორზე, არიან დაღუპულები და დაშავებულები, - ამის შესახებ უკრაინის ეროვნული პოლიცია იუწყება. „დღის განმავლობაში რუსეთის არმიამ 10 დასახლება დაბომბა. ოკუპანტებმა დაანგრიეს სახლი, ორი სკოლა, გაზსადენი. არიან დაღუპული და დაჭრილი მშვიდობიანი მოქალაქეები“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. უწყების ცნობით, თავდასხმა განხორციელდა ავდიივკაზე, ტორეცკიზე, კონსტანტინოვკაზე, ჩასოვ იარზე, ცუკურინოზე, პივნიჩნოეზე, რეი-ალექსანდროვკაზე, კონსტანტინოვკაზე, მარკოვოსა და პრიშიბზე. რუსეთის ჯარებმა მშვიდობიანი მოსახლეობაზე დარტყმები ავიაციიდან, „ისკანდერ-K“-ს სარაკეტო სისტემებიდან, „სმერჩისა“ და „გრადის“ მრავალჯერადი სარაკეტო სისტემებიდან და არტილერიიდან განახორციელეს. განადგურდა და დაზიანდა 31 სამოქალაქო ობიექტი, მათ შორის 23 საცხოვრებელი სახლი.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ყველა ბავშვშია ხატვის უნარის მარცვალი, რომლის განვითარებაც შეიძლება“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ხატვა, განსაკუთრებით - ბავშვებისთვის, შემოქმედებითი უნარის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგის სწორი მიდგომა - მან ბავშვებს უნდა მისცეს სტიმული შინაგანი ემოციის, ფიქრის, არსის გამოხატვისთვის. სწორედ ასეთი პედაგოგია მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის მასწავლებელი ნატალია ჭკუასელი, რომელიც სახვით ხელოვნებას ასწავლის

- 19 წლის ვიყავი, როდესაც ბავშვებთან დავიწყე ურთიერთობა. არ მეგონა, ოდესმე პედაგოგი თუ გავხდებოდი. სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, მხოლოდ რამდენიმე წელი მემუშავა. რადგან ეს იყო უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე, რომელიც ითხოვდა ძალიან დიდ ინტელექტს, სულიერებას, ყველა რესურსს, ერთად თავმოყრილს. წლების განმავლობაში ისეთი სიყვარული წამოვიდა ბავშვებისგან, ისეთი კარგი შედეგი მივიღე, რომ მივხვდი, სწორედ ეს იყო ჩემი საქმე. უკვე 27 წელია, რაც აქ ვასწავლი, - ამბობს ქალბატონი ნატალია.

ოთახში შესვლისთანავე, თვალს იტაცებს კედლებზე განთავსებული, ულამაზესი, მრავალფეროვანი, სინაზით და სინატიფით გამორჩეული ნამუშევრები. ბავშვური ფანტაზია იმდენად გულწრფელი, უმანკო და მიუწვდომელია, რომ წუთით ყველაფერს ივიწყებ და ბედნიერი ხდები. როგორც პედაგოგი ამბობს, ეს სხვადასხვა თაობის მიერ შესრულებული ნახატებია. შიგადაშიგ, ექსპოზიციები იცვლება, არის როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური პანოები.

- როცა ჯგუფურ პანოებზე ვმუშაობთ, ბავშვები თანამშრომლობას, გუნდურობას ეჩვევიან, თუმცა ყველა ნახატს ძალიან დიდი მოსამზადებელი პერიოდი უძღვის წინ. ყველაფერი იწყება იდეით, რომელიც უნდა იყოს ლამაზი და პოზიტიური. რასაც ფიქრობს, იმ ფორმებს წარმოსახავს ბავშვის აზროვნება და უკვე შემდეგ გადმოსცემს მას. მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ კონსერვატორიის შენობაში გვედო ბინა, როგორი დიდთოვლობა იყო, სამსახურები და სკოლები არ ფუნქციონირებდა... ყველა მასწავლებელი და მოსწავლე მოვიდა იმ დღეს. გაუკვალავ თოვლში მხოლოდ ჩვენს შენობასთან ჩანდა ბავშვების პატარა ნაფეხურები... ასე მოუხაროდათ მათ ჩვენთან. კარგი თანამშრომლობა გვქონდა, მაგალითად, ავიღებდით თემას, მხატვრულად დავამუშავებდით, შემდეგ იქმნებოდა ესკიზი. თემას მუსიკალურად ამუშავებდა მუსიკის პედაგოგი - როგორ ჩანდა ეს ყველაფერი ბგერაში, პლასტიკაში გადაწყვეტდა ჩვენი ქორეოგრაფი. ეს ერთი თემა სამგვარ შთაბეჭდილებად იყო მიწოდებული და ბავშვი სამყაროს უკვე სრულყოფილად აღიქვამდა. ამიტომაც გვქონდა ასეთი კარგი შედეგი. ვამაყობთ, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები სოფო ხალვაში, ანა ქასრაშვილი, ნელი აგირბა და სხვები, დღეს წარმატებულები არიან. არ არის აუცილებელი, ხატვა პროფესიად აირჩიო, აქ არის ხედვა, ანალიტიკური აზროვნება და ის უნარები, რომელიც გეხმარება, სხვადასხვა პროფესიაში იყო წარმატებული.

როგორც ქალბატონი ნატალია ამბობს, ბავშვები ნახატში ყველაზე ადვილად ახერხებენ თვითგამოხატვას ფერებით, გამოსახულებით. ყველა პატარაშია ხატვის უნარის მარცვალი, რომლის განვითარებაც შეიძლება.

- მქონია შემთხვევა, როცა 1 წლის განმავლობაში ბავშვი მხოლოდ ჯოხებს ხატავდა. მშობელს ვკითხე - იქნებ არ არის ეს მისი სფერო, მგონი, ჩვენს მუშაობას შედეგი არ აქვს და თავს უხერხულად ვგრძნობ-მეთქი - რას ამბობთ, ბავშვი აქ რომ არ მოვიდეს, გადაირევა, ისე ახარებს აქაურობაო, - მიპასუხა... მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, გამოცდილებაც არ მქონდა, თუმცა გულით ვაკეთებდი ჩემს საქმეს. 1 წლის შემდეგ ეს ბავშვი ისე გაიხსნა და იმდენად საოცარ ნახატებს ხატავდა, თანაც ისეთ დეტალებსა და ნიუანსებში, გაოგნებული ვიყავი. ეს იყო ურბანისტული პეიზაჟები - ქუჩები, ხეები, შუქნიშნები... ვუყურებდი და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. რეალურად, მას 1 წელი დასჭირდა, რომ ამ მხრივ მომწიფებულიყო. აი, რამდენად სწორი იყო მშობლის დამოკიდებულება. ის არ უყურებდა, რა ეხატა ფურცელზე, აქცენტს აკეთებდა იმაზე, რაც ხდებოდა ბავშვის შიგნით, ემოციურ სფეროში.

როგორც ნატალია ჭკუასელი ამბობს, პედაგოგის მოვალეობაა, ბავშვს გულწრფელობა, სითბო, სიყვარული აგრძნობინოს.

- ის, რაც მათში დაგროვდება, შემდეგ აუცილებლად გამოვა გარეთ. მინდა მხატვრობის ერთ-ერთ განხრას - ანიმაციას შევეხო. დღესდღეობით, ამ მხრივ, იქმნება ვიზუალურად ულამაზო, გაურკვეველი ფორმის ცხოველები, გმირები. მულტფილმებში არის აგრესია, არაჯანსაღი იუმორი და ბავშვი დაბნეულია, ეს ყველაფერი სიმართლე ჰგონია. როდესაც ჩვენ რადიკალურად განსხვავებულს ვასწავლით და ეს ფერში, ფორმაში, თუნდაც განწყობაში არ ემთხვევა ზემოთ ხსენებულ ინფორმაციას, შეიძლება ბავშვს ეჭვი გაუჩნდეს, რომ ჩვენ ვართ მატყუარები. როგორ ფორმებსაც აღიქვამს, ისეთივე ფორმებს ღებულობს ბავშვის თავის ტვინი. ამიტომ, უნდა ავუხსნათ მათ - სიმართლე ისაა, რომ სამყარო მშვენიერია და არა მახინჯი! ბავშვი ყველაზე კარგად ხატავს იმას, რაც მას ყველაზე მეტად უყვარს და უნდა. ამ დროს ბავშვის ნებართვით და მასთან შეთანხმებით, უნდა დავთესოთ რაღაც მარცვალი. როდესაც ის გაიხარებს, ბავშვი აღმოაჩენს, რომ ეს სხვამ კი არ მოახვია თავს, მისია.

ვმუშაობთ სხვადასხვა ჟანრში. გვაქვს აბსოლუტური თავისუფლება, რადგან მხატვარი არ შეიძლება იყოს ხელფეხშებორკილი. შეიძლება ხანდახან რაღაც უმნიშვნელოდ შევთავაზო ბავშვს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვკარნახობ, რა დახატოს. სურათებს თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ მხოლოდ ერთი საერთო აქვს ყველას - ხატვის კულტურა, დანარჩენი ყველაფერი ინდივიდუალურად ნაფიქრია. ჩანს რომელია ბიჭის, რომელი გოგონას ნამუშევარი. რეალურად, ყველა ნახატი არის ავტოპორტრეტი, ყველგან თავის თავს ხატავენ, იქნება ეს პეიზაჟი, პორტრეტი თუ ნატურმორტი.

ხელოვნების სკოლაში სულ 6 ჯგუფია. საშუალოდ, ჯგუფში 7-8 ბავშვია. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ პედაგოგი მათ ინდივიდუალურად მიუდგეს.

- თავიდან არ ვიცოდი, ბავშვებთან რა უნდა გამეკეთებინა და ძალიან მეშინოდა. რთულია, როცა პატარას სულთან გაქვს ურთიერთობა. ფაქტობრივად, სულს ძერწავ. ისე ვუდგები თითოეულ მათგანს, როგორც საკუთარ შემოქმედებას... მათი სული არის ყველაზე ძვირფასი მასალა, რომელშიც მხატვარმა შეიძლება იმუშაოს. ბავშვის ყველა ვიბრაცია უნდა შეიგრძნო, რომ წინასწარ დაიფარო რაღაც შეცდომისგან, დროულად ჩაერთო, - ვერბალურად და ემოციურად მიხსნის ქალბატონი ნატალია.

წლების განმავლობაში სკოლაში ტრადიციულად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, იქნება ეს კონცერტი თუ გამოფენა. როგორც პედაგოგი ამბობს, ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები ჩვენი ქალაქის ესთეტიკური და მორალური საგანძურია. ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება, რომ იგი გასცდეს ამ ოთახს, ქალაქს.

- ჩვენს ბავშვებსაც ხომ უნდა უთხრას ვიღაცამ - კარგი ხარ!.. ხომ უნდა დაუფასდეთ მათ ამდენი შრომა, მოთმინება, თავდადება, სიყვარული, რომელიც სურათის სახით ჩარჩოში მოათავსეს. აუცილებლად სჭირდებათ აღიარება, დროულად წახალისება, - ამბობს პედაგოგი და ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ისეთ გარემოში, სადაც არ იქნება შეზღუდვები, მითითებები, შეფასებები, შეძლებენ ბავშვები სრულიად გაიხსნან და გადმოსცენ შინაგანი სამყაროო, წინააღმდეგი ვარ, რომ ბავშვებმა ხატვა შაბლონით ისწავლონ. დღეს, სამწუხაროდ, გვაქვს სწავლებაში ეს პრაქტიკა. არის ვიდეოგაკვეთილებიც, სადაც მასწავლებელი ნიმუშს აძლევს. ბავშვიც გთხოვს, დაუხატო, რათა თავად გაიმეოროს... მაგრამ შემდეგ, მთელი ცხოვრება, ის იმას ისე დახატავს, როგორც დაუხატე. სულ სხვისი შთაბეჭდილების ქვეშ იქნება. როდესაც ამას არ აკეთებ, ბავშვისგან მილიონ ვარიანტს ღებულობ, რომელიც შეიძლება გაცილებით საინტერესო იყოს და, რაც მთავარია, გულწრფელი.

ამ თავდასხმით რუსეთში პუტინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო

რუსმა პარტიზანებმა („რუსეთის ნაციონალურმა რესპუბლიკურმა არმიამ“), რომლის წევრებიც თავს პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებად თვლიან, პასუხისმგებლობა აიღეს რუსეთის პრეზიდენტის ერთ-ერთი იდეოლოგის, რადიკალურობით განთქმული ალექსანდრე დუგინის ქალიშვილის დაღუპვაზე

დარია დუგინა მამის კვალზე იდგა და თავადაც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი „საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის“ პოლიტიკური კომენტატორი გახლდათ. ზემოთ აღნიშნული განცხადება რუსმა პარტიზანებმა „ტელეგრამის“ მეშვეობით გააკეთეს, თუმცა მანამდე სწორედ ეს ვერსია გააჟღერა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა წევრმა, კიევში საცხოვრებლად გადასულმა ილია პონომარიოვმაც, რომელიც ქვეყნიდან კრემლის საწინააღმდეგო ქმედების გამო გააძევეს. მისი მტკიცებით, ალექსანდრ დუგინის ქალიშვილის მანქანის ამფეთქებელი რუსი პარტიზანები რუსეთში იატაკქვეშა დაჯგუფებას ქმნიან და მიზნად აქვთ დასახული პუტინის „ტახტიდან ჩამოგდება“. სწორედ ამგვარი ინფორმაცია გაავრცელა გაზეთმა „გარდიანმა“.

არავის აკვირვებს, რომ რუსი მიმომხილველები თითს კიევისკენ იშვერენ, რათა სამი დღის წინანდელი ამ თავდასხმისთვის პასუხისმგებლობა მას აჭკიდონ. არც ის უკვირს ვინმეს, რომ უკრაინა ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

„ეს აქცია, როგორც სხვა არაერთი პარტიზანული ქმედება რუსეთში ბოლო თვეებში, მოაწყო „ნაციონალურმა რესპუბლიკურმა არმიამ“, - თქვა პონომარიოვმა გადაცემაში „თებერვლის დილა“, რომელიც ეთერში 21 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე გავიდა. ეს რუსულენოვანი ოპოზიციური არხია, რომელმაც მაუწყებლობა კიევში წლის დასაწყისში დაიწყო. პონომარიოვმა ხსენებული თავდასხმა ამგვარად შეაფასა: „გუშინ მოსკოვთან მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ თავდასხმით რუსეთში პუტინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი გვერდი გადაიშალა, ახალი, მაგრამ არა - უკანასკნელი“.

ეს დეპუტატი, რუსეთის პარლამენტის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი ერთადერთი კანონმდებელი გახლდათ, რომელმაც 2014 წელს ყირიმის ანექსიას მხარი არ დაუჭირა.

„ტელეგრამის“ არხით „ნაციონალური რესპუბლიკური არმიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ასევე 21 აგვისტოს გაკეთდა, ნათქვამია: „რუსი აქტივისტები, სამხედროები და პოლიტიკოსები, ახლა პარტიზანები და „ნაციონალური რესპუბლიკური არმიის“ მებრძოლები უკანონოდ ვაცხადებთ წამქეზებლურ ომს, რუსეთის ხალხების მძარცველებს და მჩაგვრელებს!“.

განცხადების ავტორები ამას არ სჯერდებიან და ხელისუფლების უზურპატორად, ომის დამნაშავედ აცხადებენ პუტინს, რომელმაც „ფეხით გათელა კონსტიტუცია, გააჩაღა ძმათა მკვლელი ომი სლავურ ხალხებს შორის და აშკარა და უაზრო სიკვდილზე გააგზავნა რუსი ჯარისკაცები“. აღნიშნულ განცხადებაში ნახსენებია საქართველოც: „მოვუწოდებთ რუს ჯარისკაცებს, აღარ ესროლონ ჩვენს ძმებს სხვა ქვეყნებში - საქართველოში, სირიასა და სხვაგან“.

განცხადების ბოლოს ვკითხულობთ შემდეგ ლოზუნგს: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!“ და აქვე „ნაციონალური რესპუბლიკური არმია“ მკითხველებს მოუწოდებს, მას „ტელეგრამის“ არხის, „როსპარტიზანის“ საშუალებით დაუკავშირდნენ.

შეგახსენებთ, რომ რუსული მედიის ინფორმაციით, კრემლის ცნობილი იდეოლოგის, უკრაინაში რუსეთის შეჭრის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორ ალექსანდრე დუგინის ქალიშვილი დაიღუპა 20 აგვისტოს მოსკოვის გარეუბანში მანქანის აფეთქებისას. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, მანქანაში, რომელსაც 30 წლის დარია დუგინა მართავდა, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩადებული.

გუშინ დუგინაზე თავდასხმასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია FSB-მ გავრცელა. მან „მკვლელის“ ფოტო გამოაქვეყნა. მათი მტკიცებით, დარია დუგინა უკრაინის მოქალაქემ, 43 წლის ნატალია ვოვკმა მოკლა, რომელიც რუსეთში 12 წლის ქალიშვილთან ერთად ივნისში ჩავიდა.

რუსეთის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ვოვკი აზოვის პოლკში ირიცხება.

FSB ამტკიცებს, რომ მკვლელობის დღეს ის შვილთან ერთად იმყოფებოდა ლიტერატურულ და მუსიკალურ ფესტივალზე, სადაც დუგინა საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული. მას შემდეგ, რაც 21 აგვისტოს, დუგინა ავტომანქანაში ააფეთქეს, ეჭვმიტანილი და მისი ქალიშვილი ფსკოვის რეგიონის გავლით ესტონეთში გაემგზავრნენ.

მარი მიდასელი

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 22/08/22, 21 35 სთ.

„ღამის სერენადები“ ისევ ბათუმშია

25 აგვისტოს ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში ტრადიციულად გაიხსნება ბათუმი-თბილისის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“. ჩვენი მსმენელი კლასიკური მუსიკის მრავალფეროვანი და მდიდარი პროგრამით 26 აგვისტოსაც დატკბება, ხოლო 17-18 სექტემბერს ფესტივალი თბილისში, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გადაინაცვლებს

წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან მისი დაარსებიდან მეორმოცე წლისთავზე იმართება. საკონცერტო საღამოებზე მსოფლიო კლასიკის შედევრებს შეასრულებენ საქვეყნოდ აღიარებული კლასიკური მუსიკის ვარსკვლავები: ანდრეს გაბეტა (ვიოლინო, საფრანგეთი) გლორია კამპანერი (ფორტეპიანო, იტალია), ალესანდრო კარბონარე (კლარნეტი, იტალია), მარიო სტეფანო პიეტროდარკი (ბანდონეონი, იტალია), საბინე გროფმაიერი (კლარნეტი, გერმანია), ქეითი მაჰანი (ფორტეპიანო, აშშ) და ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“.

მსმენელს საშუალება ექნება, კიდევ ერთხელ მოისმინოს გამოჩენილი კომპოზიტორების ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, იოჰან სებასტიან ბახის, იოჰანეს ბრამსის, ჯოაკინო როსინის, ასტორ პიაცოლას, მიშელ მანგანის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის, ენიო მორიკონეს, ლეონარდ ბერნსტაინის, ჯორჯ გერშვინის, ჰენრი პერსელის, ანტონიო ვივალდის ნაწარმოებები.

ფესტივალის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლე ახალგაზრდებისათვის, მათ შორის შშმ პირებისთვის, რომელიც მოიცავს დარგობრივ მასტერკლასებს, ვორქშოპებსა და ღია ლექციებს. პროგრამის ფარგლებში მოწვეული, წარმატებული ხელოვანები თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ ახალგაზრდა თაობას.

ფესტივალის საგანმანათლებლო ნაწილში ჩართული არიან: არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატი, ანდრეს გაბეტა - საფრანგეთის კონსერვატორიის „Conservatoire de Montbeliard“-ის პროფესორი, ქეითი მაჰანი - პორტ ელისაბედის ნელსონ მანდელას სახელობის უნივერსიტეტის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მოწვეული პროფესორი, გერმანელი კლარნეტისტი საბინე გროფმეიერი, ფაუსტო ტორეფრანკას სახელობის ვიბო-ვალენტიის კონსერვატორიის პროფესორი, ლონდონის სამეფო აკადემიის მოწვეული პროფესორი, ვირტუოზი ბანდონეონისტი იტალიიდან მარიო სტეფანო პიეტროდარკი, ალესანდრო კარბონარე - რომის სანტა ჩეჩილიას აკადემიის პროფესორი და სიენას ჩიგიანას აკადემიის საზაფხულო სკოლის მოწვეული პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო მიმართულების სრული პროფესორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, მუსიკოსი გიორგი შავერზაშვილი, ევროპის პიანისტთა ასოციაციის პრეზიდენტი საქართველოში, ჰოლანდიის კამერული მუსიკის ფესტივალის მოწვეული პროფესორი 2001 წლიდან, პიანისტი ნინო ხუციშვილი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, კოლაჟის ტექნიკის გამორჩეული ოსტატი, მხატვარ-დიზაინერი ნინო მირიანაშვილი.

ფესტივალის მიზანია არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს რეგიონებშიც ახალგაზრდა ნიჭიერი მოზარდების მხარდაჭერა. ამ მიზნით, წელს დაგეგმილია მასტერკლასები ბათუმსა და თბილისში: „მშობელთა ხიდის“ ცენტრის შშმ მოსწავლეებისათვის ინკლუზიური ვორქშოპი; მასტერკლასები ჩატარდება სამუსიკო სკოლებისა და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის.

წელს სასიამოვნო სიახლეა დაგეგმილი - წიგნის „მუსიკის ზეიმის“ პრეზენტაცია, რომელიც ფართო საზოგადოებას გააცნობს ცნობილი მევიოლინისა და დირიჟორის ლიანა ისაკაძის შემოქმედებას. წიგნის პრეზენტაცია 27 აგვისტოს ბათუმში, აჭარის მწერალთა სახლში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ფესტივალის დამფუძნებელია ლიანა ისაკაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - გიორგი ისაკაძე, დირექტორი - ნინა ცაგარელი. ფესტივალ „ღამის სერენადების“ ორგანიზატორია კომპანია „არტ ალიანსი“. ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალის „ღამის სერენადები“ მხარდამჭერები არიან: ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ ბათუმის მერია; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, იტალიის საელჩო საქართველოში, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, საფრანგეთის საელჩოსთან არსებული ფრანგული ინსტიტუტი.

ფესტივალის ოფიციალური მზღვეველია კომპანია „არდი“. მასპინძელია სასტუმრო ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი. პარტნიორები: ხარისხისა და დიზაინის საუკეთესო გარანტი ავეჯის სახლი „ნიტა“, კომპანია „ფუდალიანსი“, პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი „ლუტეცია“, პარფიუმერიის ბუტიკი „არომატეკა“, კომპანია „სარაჯიშვილი“, „ხომლის მარანი“, მეღვინეობა „თიესვი“, ფარმაცევტული კომპანია „პსპ“.

საინფორმაციო მხარდამჭერი: აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პირველი არხი, პირველი არხის ონლაინ-პლატფორმა „სცენა“, გაზეთი „აჭარა“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, „პოსტ ტვ“, მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, „არტარეა“- პირველი არხი კულტურაზე, „ტვ 25“, მედია და ციფრული კომუნიკაციების სააგენტო „კლიპ არტი“, Ambebi.ge, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ ტაიმი“, „ჯორჯიან პრესი“, ინგლისურენოვანი გაზეთი „Georgia Today“, ყოველდღიური ინგლისურენოვანი გაზეთი „Messenger“-ი, ჟურნალი „სარკე“, რადიო „ფორტუნა“ და ვებსაიტი Fortuna.ge.

მარი მიდასელი

„ეს გამოცხადებაა - ნეაპოლის ცისფერ ცაზე ქართველის ვარსკვლავი დაიბადა“

სერია A-ს მეორე ტურში „ნაპოლიმ“ სახლში „მონცა“ 4:0 გაანადგურა, ხვიჩა კვარაცხელიამ კი დუბლი შეასრულა. ქართველის თამაში კლუბის საიტმა ასე შეაფასა:

„მარადონას სტადიონზე, „ნათლობაზე“, ნეაპოლის ცისფერ ცაზე ვარსკვლავი დაიბადა. მას ძნელად წარმოსათქმელი გვარი და უსაზღვრო ნიჭი აქვს. ქართველი თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში იდუმალებით მოცული მზერით ანათებს სცენას და ბურთის სუფთა აბრეშუმის ალერსით გაქვს გოლი. შემდეგ კუპიდონის (სიყვარულის ღმერთი - რომაულ მითოლოგიაში) ისარივით იჭრება ნეაპოლელთა გულებში. მესამე ისევ კვარამ გაიტანა - ყინულის თვალების მქონე ოქროს ბიჭმა და კრისტალურმა ტალანტმა. უწოდეთ მას ქართველი ან, უბრალოდ, გამოცხადება. ეს „მარადონაზე“ ხვიჩა კვარაცხელიას დიდების პირველი საღამოა. ისტორია უკვე კალმით იწერება. ცისფერ ცაზე ვარსკვლავი დაიბადა“.

„კვარაშოუ“ - „ვინ არის „ნაპოლის“ ახალი „ჯოკერი“

იტალიური გამოცემა Corrieredellumbria.it ქართველის შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს და ხვიჩას „ნაპოლის“ ახალ ჯოკერს უწოდებს.

„ახალგაზრდა გარემარბმა ხმაურიანად დაიწყო: 3 გოლი და საგოლე გადაცემა მხოლოდ 2 მატჩში. სპალეტიმ კარგი გუნდი ჩამოაყალიბა, სადაც უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს, მაგრამ ვინ არის ხვიჩა კვარაცხელია?

„კვარა“ საქართველოში დაიბადა, მარცხენა გარემარბი, რომელიც ორივე ფეხით თანაბრად კარგად თამაშობს, ძალიან სწრაფი და დრიბლინგის ოსტატი, ორი წლის განმავლობაში 2001 წელს დაბადებულ მოთამაშეთა საუკეთესო 50-ეულში შედიოდა. ხვიჩა თბილისის „დინამომ“ აღზარდა, მას შემდეგ იყო „რუსთავი“, „ლოკომიტივი“, „რუბინი“ და ბათუმის „დინამო“. ეროვნულ ნაკრებში 17 შეხვედრა აქვს გამართული და მის ანგარიშზე 8 გატანილი გოლია.

„ნაპოლიმ“ მასში გადახდილი 10 მილიონით სერია A-ს ახალი ვარსკვლავი შეიძინა.

საქმისადმი მისი მიდგომა გასაოცარია, კვარაცხელიას ერთ-ერთ ინტერვიუში მეგობარი გოგონას შესახებ ჰკითხეს, მასთან ერთად იცხოვრებდა თუ არა იტალიაში, „ჯერჯერობით ჩემთან არ ჩამოვა, მან უნდა ისწავლოს და ამის დრო არ აქვს. მე მჭირდება სიმშვიდე და კონცენტრაცია ფეხბურთზე“. აშკარაა, რომ კვარაცხელიას დიდი მიზნები აქვს“ - წერს გამოცემა.

ამირან გურიელიძე